ეროვნული ბიბლიოთეკის ეროვნული ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ცენტრის ყოველთვიური ბიბლიოგრაფიული ჟურნალი


№ 18 (828) 8 აგვისტო–17 სექტემბერი 1978 წელი ● 1978 წლის სექტემბერი

ახალი წიგნები


ბიბლიოთეკარის დახმარებისთვის



—ბიბლიოთეკარის პროფესიის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა მკითხველის ინფორმირება ახალი ლიტერატურის შესახებ. ამ მიზნით ბიბლიოთეკარი ადგენს ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს, ბიბლიოგრაფიულ სიებს, ანოტირებულ საკითხავ ცნობარებს. ამ ნაშრომების ავტორები ბიბლიოთეკარის ასისტენტები, მეთოდისტები, ბიბლიოგრაფები, ლიტერატურის კრიტიკოსები და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები არიან. ისინი ბიბლიოთეკის ფონდის ყველა ნაწილს ეცნობიან, ამზადებენ ბიბლიოგრაფიულ ინდექსებს, ანოტაციებს, ბიბლიოგრაფიულ სიებს, ბიბლიოთეკის ფონდის ყოველ ახალ წიგნზე ადგენენ ანოტაციას, ანუ მოკლე აღწერილობას, ამზადებენ ბიბლიოთეკის ფონდის ყოველ ახალ წიგნზე ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს, ანუ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას, ადგენ











სურათებზე: ზევიდან — ახალი და ძველი ბათუმი; აჭარელი მუშის ნახელავი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გადის; შენდება ახალი აჭარა; აჭარისწყალზე ნაგებ ამ ძველ ხიდსაც თამარის სახელს უკავშირებენ; ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბერში რთველია.

საბჭოთა აჭარა

(დასასრული)

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ აჭარელ ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების გზა ხსნილი აქვთ — თბილისისა თუ ქუთაისის, მოსკოვისა თუ ლენინგრადის, საბჭოთა ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებლის კარი ღიაა მათთვის. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობს 2.503 სტუდენტი, რომელთა აღზრდას ემსახურება 120 პროფესორ-მასწავლებელი და აქ მოსწავლე სტუდენტების განათლებაზე ყოველწლიურად სახელმწიფო ხარჯავს 827 ათას მანეთს.

განათლების დარგზე ნაკლები მძიმე მდგომარეობა როდი იყო აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

1887 წელს ბათუმში მაშინდელ ვოზნესენსკის ქუჩაზე, დღეს ენგელსის 43-ში, ექიმმა ა. შეფერმა გახსნა 25-საწოლიანი ქსენონი — აჭარის პირველი სამკურნალო დაწესებულება. 1902 წელს გაიხსნა 60-საწოლიანი საავადმყოფო, სადაც მკურნალობა ფასიანი იყო — საერთო პალატაში ავადმყოფი დღე-ღამეში იხდიდა 75 კაპიკს, ცალკე პალატაში თვეში იხდიდა 90 მანეთს, ორსაწოლიანში — 40 მანეთს. ადვილი წარმოსადგენია, თუ ვის შეეძლო ემკურნალა იმდროინდელ აჭარაში.

1913 წელს აჭარაში იყო სულ 17 ექიმი, რომელთაგან სოფლად მხოლოდ 2 მუშაობდა, ისიც დროგამოშვებით, სეზონურად.

საბჭოთა აჭარაში მშრომელი ხალხის უფასოდ მკურნალობას დღეს ემსახურება 77 სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულება 3.270 საწოლით, რომლებშიც არ შედის მეზღვაურთა და რკინიგზელთა საავადმყოფოები. ამის გარდა, გვაქვს 23 საექიმო და 128 საფერშლო პუნქტი, 6 სანეპიდსადგური, 1 სადეზინფექციო სადგური, სანგანათლების სახლი, პროფილაქტიკური დეზინფექციის 6 სადგური. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ამ კერებში მუშაობს 7.000-ზე მეტი მუშაკი, რომელთაგან 800-ზე მეტი ექიმია, 3.000-მდე საშუალო მედიცინური განათლების მქონე პერსონალი. ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე 1921 წელს გამოყოფილი იყო 160 ათასი მანეთი, ხოლო 1973 წელს იხარჯება 11 მილიონ 480 ათასი მანეთი.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სამედიცინო მომსახურების დაწესებულებები აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო ტექნიკის უახლესი ხელსაწყოებით და პრეპარატებით, რაც სამამულო მედიცინის კერებში აღზრდილი დასტაქრების ხელში გადამწყვეტ საშუალებად იქცა აჭარელ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის, უმთავრესად კი პროფილაქტიკის კეთილშობილურ საქმეში, რადგან მშრომელთა საყოფაცხოვრებო და მატერიალური დონის ამაღლებასთან ერთად ავადმყოფობა მინიმუმამდე დავიდა.

● რას გვეტყოდით მოსახლეობის კულტურული მომსახურების სხვა დარგებზე?

— ცნობილია, რომ მოსახლეობის კულტურული დონის სრულყოფაში, მის სულიერ სრულქმნა-ამაღლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს. ამ მხრივაც რევოლუციამდელი აჭარა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა თავისი ერთი კლუბითა და 2 ღარიბი ბიბლიოთეკით, რომლებშიც გაერთიანებული იყო არაუმეტეს 800 მკითხველისა; მათ რიცხვში, რასაკვირველია, არ იყო არცერთი მუშა და გლეხი.

დღეს მარტო კულტურის სამინისტროს ხაზით რესპუბლიკაში მშრომელთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლების საქმეს ემსახურება 2 სახელმწიფო მუზეუმი, 4 სახალხო მუზეუმი, 2 სახალხო თეატრი, 141 საკლუბო დაწესებულება, 203 ბიბლიოთეკა, რომელთა უმრავლესობა განლაგებულია სოფლად. ბიბლიოთეკების წიგნთა საერთო ფონდმა დღეისათვის გადააჭარბა 1,5 მილიონ ერთეულს.

შარშან თვითმოქმედმა კოლექტივებმა, რომლებშიც გაერთიანებულნი არიან რესპუბლიკის მშრომელები, გამართეს 1775 კონცერტი და სპექტაკლი, რომლებსაც 300 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. ჭობულეთის რაიონის ჭაქუთის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი არის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი. ამავე ფესტივალის საკავშირო ლაურეატი გახდა აჭარის ხალხური შემოქმედების სახლის ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალაღობო“, ხოლო ბათუმის კულტურის სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ადილა“ მიმდინარე წელს გახდა საკავშირო-სატელევიზიო ფესტივალის ლაურეატი და დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე არაერთხელ დადგმულა მსოფლიო და საბჭოთა დრამატურგიის შედევრები. თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი ძირითადად დაკომპლექტებულია თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში აღზრდილი ნიჭიერი მსახიობებით, აჭარული სცენის მოამაგეებით.

საქვეყნოდ გაითქვა სახელი აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა, რომელმაც პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა არა მარტო საბჭოთა, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაყურებლისა .

აჭარელი მწერლები, ხალხის სულისა და გულის ინჟინრები, რომლებიც საბჭოთა ქართველი მწერლების სახელოვანი რაზმია, ადგილობრივ მშრომელებს სულიერ საზრდოს აწვდიან რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთებისა და გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ მიერ გამოცემული წიგნების ფურცლებზე დასტამბული მაღალმხატვრული ნაწარმოებებით, რომელთა შედევრები დიდი ხანია გახცდა საქართველოს ფარგლებს და ღირსეული ადგილი მიიკუთვნა საბჭოთა ხალხების ლიტერატურაში.

● როგორია ავტონომიური რესპუბლიკის კინო-და სატელევიზიო მომსახურება?

— ციფრების ენა ყოველთვის იყო და იქნება უყველაზე დამაჯერებელი ენა, ციფრები უკომენტაროდ მეტყველებენ ამა თუ იმ ფაქტზე, ან ფაქტებზე. აჭარის ვაჭრობის სამინისტროს ცნობით 1972 წლის მანძილზე მოსახლეობას მიეყიდა 3.556 ცალი ტელევიზორი, 1973 წლის მიმდინარე 8 თვის განმავლობაში კი — 2.106 ცალი. თუ ამას დავუმატებთ აჭარ-კოოპკავშირის ხაზით თუნდაც მხოლოდ 1972 წელს მოსახლეობაში გაყიდულ 1.285 ტელევიზორს, წინა წლებში და რესპუბლიკის გარეთ ნაყიდ ტელევიზორთა სავარაუდო ოდენობასაც, სავსებით სარწმუნო იქნება ის ვარაუდი, რომ აჭარის მოსახლეობის თითქმის ყველა ოჯახში, სადაც კი ტელეგადაცემა აღწევს, ცისფერი ეკრანი ანათებს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1973 წლის იანვრისათვის მოსახლეობას ემსახურებოდა 13 კინოთეატრი, 152 სასოფლო კინოდანადგარი, 11 ავტომოძრავი და 66 პროფკავშირულ-საწუჭეთო კინოდანადგარი, სულ 235 კინოსადემონსტრაციო ობიექტი, რომლებმაც მხოლოდ 1972 წელს მომსახურება გაუწიეს 3.248 ათას კაცს, მათ შორის ქალაქად 2.276 ათასს, სოფლად 972 ათასს.

პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია შუახევის რაიცენტრის კინოთეატრის, ბათუმისა და ქობულეთის საზაფხულო კინოთეატრების აგება, არსებული კინოთეატრების ჰაერის კონდენსირება და სხვა სიახლენი.

● რას გვეტყვით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დონეზე?

— მოვიყვან რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს. ბათუმში 1973 წლის 1 იანვრისათვის აღრიცხული იყო 838 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რომელთაგან 403.500 კვადრატული მეტრი კომუნალურია, ე. ი. ეკუთვნის სახელმწიფოს და უვადო სარგებლობაში გადაცემული აქვს მოსახლეობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რითაც უყველაფერი კეთდება ადამიანის ცხოვრების დონის კიდევ უფრო ასამაღლებლად, გათვალისწინებულია ქალაქის საცხოვრებელი ფონდის მნიშვნელოვანი გაზრდა, განახლება-შეკეთება. 1973-1975 წლების მანძილზე მარტო აჭარის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ხაზით აშენდება და მშრომელებს გადაეცემა 19.900 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მარტო 1973 წლის დასასრულისათვის აჭარის მოსახლეობას გადაეცემა 53 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მაღალი დონის მეორე მაგალითად ავიღოთ კერძო მფლობელთა საკუთრებაში მყოფი მსუბუქი ავტომანქანების რიცხვი — დღეისათვის აჭარის მშრომელების განკარგულებაშია 3.665 მსუბუქი ავტომანქანა და 998 მოტოციკლი.

● რას გვეტყვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის ბაზის — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შესახებ?

—მრეწველობის განვითარებას აჭარაში ბიძგი მიეცა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაიყვანეს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი და თბილის-ბათუმის რკინიგზა. იმ ხანებში ბათუმში იყო მრეწველობის რამდენიმე კუსტარული ხასიათის ობიექტი, რომლებიც ნავთობის გადამუშავებას და უცხოეთში გასაგზავნად სატვირთავ სამუშაოებს ახორციელებდნენ, იქაც უცხოური კაპიტალი ბატონობდა და მუშათა მძიმე ექსპლუატაციით გამოირჩეოდა. სწორედ ამან განაპირობა ბათუმის სინამდვილეში მუშათა რევოლუციური მოძრაობის ჩასახვა-განვითარება.

ჭეშმარიტი სამრეწველო განვითარება აჭარაში დაიწყო 1921 წლიდან: აშენდა ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა — პირველი ხუთწლედის პირმშო, მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელიც კონვეიერულად აგებს ასობით რთულ მანქანას, დაინერგა და ვითარდება ელექტროტექნიკური და საშენ მასალათა მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა — ავეჯის, სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის საწარმოები. შეიქმნა კვების მრეწველობა — ჩაის, საკონსერვო, თამბაქოს, საკონდიტრო ქარხანა-ფაბრიკები, რის შედეგადაც სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 24-ჯერ გაიზარდა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში აჭარის მრეწველობასაც შეჰქონდა თავისი წვლილი ფაშიზმზე საბჭოთა ხალხების გამარჯვების საქმეში.

მრეწველობაში კაპიტალდაბანდებებმა 1950-1955 წლებში სახალხო მეურნეობაში დაბანდებული სახსრების 46,8 პროცენტს მიაღწიეს. ბათუმში ამუშავდა ელექტრომექანიკური, სარეცხი მანქანებისა და ელექტროხელსაწყოების ქარხნები. დაინერგა გემთმშენებლობა.

თუ 1902 წელს მძიმე მრეწველობის პროდუქცია ისედაც უძლური მრეწველობის მხოლოდ 0,4 პროცენტს შეადგენდა, 1970 წლისათვის მისი ხვედრითი წონა უკვე 49,9 პროცენტი იყო.

1967 წელს ბათუმში შეიქმნა საზღვაო სანაოსნო, რითაც საქართველო საზღვაო რესპუბლიკად იქცა.

აჭარის ყველა საცხოვრებელი დასახლება, ყველა სოფელი ელექტროფიცირებულია.

მოსახლეობის 1970 წლის აღწერის დროს აჭარის სახალხო მეურნეობაში მუშაობდა 1.521 ინჟინერი, რომელთა რიცხვი დღეისათვის გაცილებით მეტია.

თუ რევოლუციამდელ აჭარის სოფლის მეურნეობაში ორად ორი აგრონომი მუშაობდა, დღეისათვის ჩვენს სოფლის მეურნეობაში წამყვან ძალას სპეციალისტები შეადგენენ, რომელთა რიცხვი 2.500-ზე მეტია.

აჭარის ეკონომიური განვითარება განპირობებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის იმ დიდი პოლიტიკური და ეკონომიური ღონისძიებებით, რასაც საფუძვლად უდევს ლენინური ეროვნული პოლიტიკა. სწორედ ამ პოლიტიკის შედეგად, ერთა თანასწორუფლებიანობის შედეგად აჭარაში შეიქმნა მოწინავე მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა. დღეს მთელი საბჭოეთი ამაყობს ქართული ჩაით, ციტრუსებით, ტექნიკური კულტურებით, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწარმოებელი არის საბჭოთა აჭარა. 1972 წლისათვის აჭარის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 40 მილიონ მანეთამდე აღწევდა. აჭარული სოციალისტური სოფელი არის ჭეშმარიტი განსახიერება დიდი ეროვნული აღმავლობისა, განათლებისა, მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა, ახალგაზრდობისათვის საშუალო განათლების სავალდებულოდ გადაქცევისა. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა აჭარელი ქალის უმწეო მდგომარეობა, ჩადრი, გაუნათლებლობა და სიბეჩავე. გამარჯვებას ზეიმობს ცივილიზაცია, პროგრესი.

● ტრადიციული კითხვა — რას უსურვებდით ჩვენი გაზეთის მკითხველებს, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს?

— ჩამოსულიყვნენ საქართველოში, საბჭოთა აჭარაში, ჩვენს ბათუმში, საკუთარი თვალით ენახოთ და გულით განეცადოთ ის, რაც აჭარლებს მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტური პარტიის დაუცხრომელმა ზრუნვამ ადამიანის კეთილდღეობაზე, ქვეყნის ბედნიერებასა და ძლევამოსილებაზე.

საბჭოთა აჭარა ათასობით იღებს უცხოელ ტურმარს, თვისტომთ კი ნამდვილად მოყვრულად მიიღებს, რამეთუ დედასამშობლოს სიყვარული იყო, არის და იქნება ჩვენი მოყვრობის უპირველესი და უმტკიცესი საფუძველი, რაიც თაობებს უნდა გადაეცეთ საშვილიშვილოდ და სამარადუამოდ.

იტალიელი სტუმარი

თბილისში სტუმრად იმყოფებოდა იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრი **დომენიკო ჩერავოლო.** მას მასპინძლობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვიქტორია სირაძე.**

საუბრის დროს ვიქტორია სირაძემ აღნიშნა, რომ საქართველოსა და იტალიის ტრადიციული ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა დღეს სულ უფრო ვითარდება.

დომენიკო ჩერავოლომ განაცხადა: იტალიაში კარგად იცნობენ ქართველი ხალხის მდიდარ ეროვნულ კულტურას, არაერთგზის მქუხარე ტაშით დაუჯილდოვებიათ საქართველოს ნიჭიერი მხატვრული კოლექტივები. შემდეგ მან რწმენა გამოთქვა, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება ხელს შეუწყობს იტალიასა და საბჭოთა კავშირს და, კერძოდ, საქართველოს შორის კულტურული თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

● ●

ამერიკელი სპეციალისტის შთაბეჭდილებები

— საქართველოში თამბაქოს წარმოების გაცნობა დიდად სასარგებლო იყო ჩვენთვის, — აღნიშნა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის საზღვარგარეთის სამსახურის თამბაქოს განყოფილების დირექტორმა ჰიუ ჩ. კაიგერმა. იგი მეთაურობს თამბაქოს წარმოების სპეციალისტთა ჯგუფს, რომელიც ეცნობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ამ დარგს.

ჰიუ ჩ. კაიგერმა აღნიშნა, რომ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალისტებს შესაძლებლობა მიეცათ პირველად ენახათ თამბაქოს ტონგური დამუშავების ესოდენ ფართო გამოყენება. მართალია, ტონგის მეთოდი ცნობილია სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ თვით ტონგის სამშობლოში — საფრანგეთში იგი არ აუყვანიათ ტექნიკური აღჭურვილობის ესოდენ მაღალ საფეხურზე.

— ჩვენთვის ახალი იყო თამბაქოს ფხვიერი მასის მიღების ხერხი, რომელიც თქვენშია დანერგილი, — თქვა შემდეგ ამერიკელმა სპეციალისტმა, — დეტალურად შევისწავლით ამ ხერხს, რათა გამოვიყენოთ ჩვენში.

ამერიკელი მეთამბაქოეები იყვნენ „თბილთამბაქოს“ გაერთიანების საწარმოებში, თბილისისა და სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნებში, საუბარი ჰქონდათ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და „საქთამბაქოს“ გაერთიანებაში.

● ●

„წუთისოფელი“ პაკისტანში

ისლამაბადში სსრ კავშირის საელჩოში უჩვენეს სტუდია „ქართული ფილმის“ მხატვრული კინოსურათი „წუთისოფელი“. ჩვენებას დაესწრნენ პაკისტანის თვალსაჩინო პოლიტიკური და სახოგადო მოღვაწენი, პარლამენტის წევრები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, პაკისტან-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივისტები. ფილმის პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა, დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა.

ვიეტნამელები ისწავლიან საქართველოში

22 სექტემბერს 63 ვიეტნამელი ვაჟი და ქალიშვილი ჩამოვიდა თბილისში. ისინი თბილისის № 6 და რუსთავის № 3 პროფტექნიკურ სასწავლებლებში შეიძენენ მეტალურგის, ხარატის, ელექტროზეინკლისა და სხვა პროფესიებს და სამშობლოში რომ დაბრუნდებიან, აქტიურად ჩაებმებიან სოციალიზმის მშენებლობის ფერხულში.

ვიეტნამელი ჭაბუკებისა და ქალიშვილების ჩამოსვლას მიეძღვნა სახელდახელო მიტინგები, რომლებიც გაიმართა თბილისის № 6 და რუსთავის № 3 პროფტექნიკურ სასწავლებლებში.



გარდაიცვალა პაბლო ნერუდა

ადარ არის პაბლო ნერუდა, შეწყდა გამოჩენილი ჩილელი კომუნისტი პოეტის, მშვიდობის დაუცხრომელი მებრძოლის, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის, ლიტერატურის დარგის ნობელის პრემიის ლაურეატის გულისძგერა.

პაბლო ნერუდა (მისი ნამდვილი სახელია რიკარდო ელიერ ნეფტალი (რეიეს ბახუალტო) დაიბადა 1904 წლის 12 ივლისს მოსამსახურის ოჯახში. სწავლობდა სანტიაგოს უნივერსიტეტში. 1927-1934 წლებში დიპლომატიურ სამსახურში იყო არგენტინასა და ბირმის ქვეყნებში, 1934-1937 წლებში — რესპუბლიკურ ესპანეთში.

1945 წელს პოეტი შევიდა კომუნისტურ პარტიაში. ჩილელმა მეშახტეებმა იგი ეროვნული კონგრესის სენატში აირჩიეს. მაგრამ მას დიდხანს არ დასცალდა ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში: ხელისუფლების სათავეში მოსულმა პრეზიდენტმა გონსალეს ვიდელამ აკრძალა კომპარტია. 1948 წლის 6 იანვარს ნერუდამ პრეზიდენტს საჯაროდ დასდო ბრალი სამშობლოსა და დემოკრატიის ღალატში. ხელისუფლებამ გასცეს განკარგულება დაეპატიმრებინათ კომუნისტი პოეტი. ერთ წელზე მეტხანს ნერუდა არალეგალურად ცხოვრობდა. როგორც პოეტი წერდა, მან „ორმოცი ადგილი“ გამოიცვალა და ყველგან პოულობდა თავშესაფარს. იგი იძულებული იყო რამდენიმე წლით გადასულიყო სამშობლოდან.



პაბლო ნერუდა აქტიურად მონაწილეობდა მშვიდობის დაცვის მოძრაობაში. იგი იყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი, დაჯილდოებული იყო ფ. ჟოლიო-კიურის სახელობის ოქროს მედლით.

ნერუდა საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი იყო. იგი არა ერთხელ ყოფილა საბჭოეთში. მებრძოლი პოეტის, ტრიბუნი პოეტის ნაწარმოებებს კითხულობს და უყვარს მილიონობით საბჭოთა ადამიანს.

გამომცემლობა „პროგრესმა“ ინგლისურ ენაზე გამოსცა საბჭოთა პოეტების ლექსების კრებული — „მეგობართა ხმები“. კრებული მიეძღვნა აზიისა და აფრიკის მწერალთა ალმა-ათის კონფერენციას.

„— კრებული, — ვკითხულობთ წინათქმაში, — ძირითადად მოიცავს საბჭოთა აღმოსავლეთის წარმომადგენლების, ოცდახუთი საბჭოთა პოეტის ნაწარმოებებს... ჰეშმარიტად იგი ჰგავს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს გადაწვდენილ მეგობრობის ხელს. ეს არის სიმღერა მეგობრობისა!... ეს პატარა ანთოლოგია ნამდვილი პოეტური ცეცხლით ანათებს, გვიჩვენებს მომავლის გზას!“...

ქართველ პოეტთაგან კრებულში წარმოდგენილია გრიგოლ აბაშიძე და ირაკლი აბაშიძე. ლექსების წანამძღვარში მოკლედ, მაგრამ ყოვლისმომცველად არის თქმული ავტორზე.

„გრიგოლ აბაშიძე მოწინავე საბჭოთა პოეტია, — წერია წანამძღვარში, — მისთვის ერთნაირად ახლობელია პროზაც და პოეზიაც. კულტურულ, ერუდირებულ პიროვნებას

„მეგობართა ხმები“

გრიგოლ აბაშიძეს აქვს ჭეშმარიტი ტალანტი და შესანიშნავი ლიტერატურული გემოვნება... მისი ნაწარმოებები ორგანულად უკავშირდება საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურულ ტრადიციას. წარსულში იგი ხედავს აწმყოს ფესვებს, აწმყოში კი მომავლის ყლორტებს...

გრიგოლ აბაშიძე არის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს წევრი და სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი“.

„ირაკლი აბაშიძის პირველი ლექსები ახალი ცხოვრების შემართებასა და ამაღლებულ აზრს გამოხატავენ. მისი ლექსები შთაბეჭდილებას ახდენენ თავიანთი გულწრფელობითა და იმ „ამაღლებული უბრალოებით“, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჭეშმარიტი პოეზია.

პოეტი, აკადემიკოსი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ირაკლი აბაშიძე ამასთანავე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია“.

— კვითხულობთ კრებულში გამოქვეყნებული ირაკლი აბაშიძის ლექსების წანამძღვარში.

პატივსაცემი რედაქცია!

ამას წინათ, 32 წლის განშორების შემდეგ, ასპინძის რაიონის მშობლიურ სოფელ ხიზაბავრას ეწვია ამუამად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მცხოვრები სიმონ გელაშვილი. უნდა გენახათ, როგორ ბავშვივით ტიროდა იგი. — არაფერს ვნატრობდი ამქვეყნად, გარდა ერთისა: ჩემი სოფლის წყალი დამელია და ისე მოვმკვდარიყავი, — გვითხრა მან. გელაშვილის სწორედ ამ სიტყვებმა დამაწერინა ეს პატარა ლექსი.

კვლავ მარტოდმარტო მოვდივარ,
ვტირი და არ მეტირება,
შორს შენი სითბოც მყოფნიდა,
იდექი ჩემთან იმედად.
ახლო ვარ, მკერდზე გეკვრები,
კვლავ შენი ეშხით ვმხიანობ,
შენ, ჩემო ტკბილო მამულო,
დედის რძის თანაზიარო.
შენ, ჩემო კარგო მესხეთო! —
როგორც მს ლაღი მერცხლები,
ისე დავჭრიალავ შენს მკერდზე
და შენი მზერით ვერ ვძღები.
გალაღებულხარ, დღეგრძელობ
ისე, ვით შოთას გენია,
ჰაბუშო, მარად ჰაბუშო,
სიბერე არ გიწერია!

ლურმიშხან ბერიძე

◆

ქართული ფილმების წარმატება

ტამპერეში დამთავრდა სატელევიზიო ფილმების მესუთე საკავშირო ფესტივალი, რომელზეც წარდგენილი იყო ბოლო ორ წელს შექმნილი საუკეთესო ფილმები.

კონკურსში დიდი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს სატელევიზიო ფილმებმა — ჟიურის პრიზი დაიმსახურა მხატვრულმა ფილმმა „ლაზარეს თავგადასავალი“. კომედიური თემის დამუშავებისათვის ჟიურის დიპლომით აღინიშნა მეორე ფილმი „საერთო კედელი“.

ეს საინტერესოა

რამდენი გროსმაისტერია მსოფლიოში

ფიდეს უკანასკნელი — სკოპელეს კონგრესის შემდეგ საერთაშორისო გროსმაისტერების რიცხვი მსოფლიოში 96 გახდა. გავეცნოთ უმაღლესი საჭადრაკო წოდების მატარებელთა სიას ქვეყნების (ანბანზე) მიხედვით:

ავსტრალია (1) — უ. ბრაუნე; **ავსტრია** (1) — კ. რობაჩი; **არგენტინა** (6) — კ. გიმარი, მ. ნაიდორფი, ო. პანო, გ. პილნიკი, ჰ. როსეტო, ვ. ელისკაზესი; **ამერიკის შეერთებული შტატები** (10) — ბ. ბენკო, ა. ბისჰაიერი, რ. ბირნი, ა. ევანსი, ლ. კავალეკი, ი. კეტდენი, უ. ლომბარდი, ს. რეშევსკი, რ. ფაინი, რ. ფიშერი; **ბელგია** (1) — ა. ო' კელი; **ბულგარეთი** (4) — მ. ბობოცოვი, ნ. პადევსკი, ი. რადულოვი, მ. ტრიფგოვი; **ბრაზილია** (1) — ჰ. მეკინგი; **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა** (2) — ვ. პიტჩი, ვ. ულმანი; **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა** (5) — კ. დარგა, ფ. ზემიში, ვ. უნციკერი, ლ. შმიდი, რ. ჰიუბნერი; **დანია** (1) — ბ. ლარსენი; **ესპანეთი** (1) — ა. პომარი; **ისლანდია** (1) — ფ. ოლაფსონი; **იუგოსლავია** (13) — ს. გლიგორიჩი, მ. დამიანოვიჩი, დ. იანოშევიჩი, ბ. ივკოვი, ლ. ლიუბოევიჩი, ა. მატანოვიჩი, მ. მატულოვიჩი, ბ. პარმა, ვ. პირცი, ა. პლანინცი, პ. ტრიფუნოვიჩი, მ. უდოვიჩივი, დ. ჩირიჩი; **კანადა** (1) — დ. იანოვსკი, **რუმინეთი** (1) — ფ. გეორგიუ; **საბჭოთა კავშირი** (33) — ი.ავერბახი, ვ. ანტოშინი, ი. ბოლესლავსკი, ი. ბონდარევსკი, მ. ბოტვინიკი, დ. ბრონშტეინი, რ. ვაჰანიანი, ე. ვასიუკოვი, ე. გელერი, ა. გიპსლისი, ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, ა. კარპოვი, პ. კერესი, ვ. კორჩნოი, ა. კოტოვი, ნ. კროგიუსი, ა. ლეინი, ვ. ლებერზონი, ა. ლილიენტალი, ტ. პეტროსიანი, ლ. პოლუგაევსკი, ვ. სმისლოვი, ბ. სპასკი, ა. სუეტინი, მ. ტიმანოვი, მ. ტალი, ვ. ტუმკაკოვი, ს. ფლორი, ს. ფურმანი, ლ. შამკოვიჩი, ლ. შტეინი, რ. ხოლმოვი; **საფრანგეთი** (1) — ნ. როსოლიმო; **უნგრეთი** (6) — გ. ბარცა, ლ. ბარცაი, ი. ბილეკი, ლ. ლენდიელი, ლ. პორტიში, ლ. საბო; **ჩეხოსლოვაკია** (4) — ვ. ჰორტი, ლ. პახმანი, ი. სმეიკალი, მ. ფილიპი; **შვეცია** (1) — უ. ანდერსონი; **ჰოლანდია** (2) — ი. დონერი, მ. ვეკე

საბრძოლო დიდების ქალაქი

წლეულს, 16 სექტემბერს, 30 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა ფაშისტური არმიის ტყვეობიდან გაათავისუფლეს შავი ზღვის მშვენიერი ნავსადგური — ქალაქი ნოვოროსიისკი და ტამანის ნახევარკუნძულიდან ფაშისტური ჯარების განდევნა დაიწყეს.

საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა ნოვოროსიისკის ღვაწლი წარსულ ომში და მას გმირი ქალაქის წოდება მიანიჭა. ამ სასიხარულო დღეს მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების ყოფილმა უფროსმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა გულთბილი მილოცვა გაუგზავნა ნოვოროსიისკის მცხოვრებთ და მის გმირ დამცველებს.

აქ, ამ ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კონცხ „მისხაკოზე“, გათამამდა დიდი საბრძოლო ტრაგედია, რაც შეუპოვარი ბრძოლის ავანსცენაზე 8 თვეს გაგრძელდა და რასაც წინ უძღოდა დიდი მასშტაბის საბრძოლო ოპერაციები. ამ ოპერაციებმა 1942 წლის დამლევს და 1943 წლის დამდეგს ბრძოლის ამ ფრონტზე ერთობ შეცვალეს ძალთა თანაფარდობა.

რაკი გერმანიის ფაშისტური არმიის ჩრდილო კავკასიის ჯგუფის ჯარებმა ვერ მოახერხეს ჩრდილოეთიდან შესულიყვნენ და ხელთ ეგდოთ ნავთობით მდიდარი ბაქო, ჰიტლერმა გადაწყვიტა საქართველოზე გავლით მიეღწია დასახული მიზნისათვის.

1942 წლის დამლევს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა იოსებ სტალინმა ჩვენი შავი ზღვის სანაპირო დაცვის ჯარებს უბრძანა მტკიცედ დაეცვათ შავი ზღვის სანაპიროები, მტერი მოეშანცათ თავდაცვით ბრძოლებში, მოემზადებინათ სადესანტო ნაწილები, მოულოდნელი დარტყმით გაეთავისუფლებინათ ნოვოროსიისკი, რომელსაც ჰიტლერელები „საქართველოს ოქროს გასაღებს“ უწოდებდნენ, და დაეწყოთ ყირიმის ნახევარკუნძულის გაწმენდა გერმანიის ჯარებისაგან.

დაიწყო გენერალური შეტევისათვის მზადება. გემებიდან ჩამოწერილი მეომრებისაგან საზღვაო დესანტის მომზადება ყოფილ ჟურნალისტს, მაიორ ცეზარ კუნიკოვს დაევალა. მტრის საცეცხლე პოზიციების წინ მომზადდა მეზღვაურთა გაბედული დესანტი. ერთდროულად მიმდინარეობდა ჩვენი სახმელეთო ჯარების კონცენტრაცია ნავსადგურ გელენჯიკისა და ყაბარდინის ყურეს მიდამოებში.

ნანატრი დღეც დადგა, 3 თებერვალს ღამით ყაბარდინის ყურედან საბრძოლო კატარღებით ზღვაში გავიდა კუნიკოვის საზღვაო-სადესანტო რაზმი 275 მეომრის შემადგენლობით. მათ შორის იყო ჩვენი ორი თანამემამულე — სოხუმელი ოთარ ჯაიანი და მცხეთელი შალვა თათარაშვილი. ღამის სიბნელეში აბობოქრებული ზღვის ტალღებს პირველი მიარღვევდა საბრძოლო კატარღა „ზღვის მონადირე“, რომელზეც იყო მამაცი მეთაური ცეზარ კუნიკოვი. ეს საბრძოლო „ხომალდი“ იმ დღეთა სახსოვრად ეხლა ქალაქის ნავმისადგომთან დგას კვარცხლბეკზე.

გერმანელებმა შეამჩნიეს ჩვენი დესანტის მიახლოება და სანაპირო არტილერიის ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს. მამაცთა რაზმმა, რომელსაც თან მიჰქონდა მრისხანე იარაღი და სამშობლოს სიყვარულით ანთებული მგზნებარე გული, გაუძლო საშინელ განსაცდელს, მცირე დანაკარგით ხმელეთზე შედგა ფეხი ქალაქის სამხრეთით მდებარე „სტანიჩკას“ მიმართულებით და დაიჭირა პლაცდარმი ჩვენი მთავარი დესანტის გადასასვლელად. მაგრამ ზღვამ საშინელი ღელვა დაიწყო და მთავარი დესანტის გადასხმა ვეღარ მოხერხდა. 5 დღე-ღამეს ბობოქარ ზღვასა და მოწინააღმდეგის ძლიერ ცეცხლს შუა მარტო ეწეოდა მტერთან უთანასწორო ბრძოლას მეზღვაურთა ერთი მუჭა რაზმი.



ქალაქი ნოვოროსიისკი. გამარჯვების მოედანი.

ხუთი დღის შემდეგ 897-ე ლეგიონის მეთაურმა თავისთან გამოიძახა მე-3 ასეულის მეთაური ილია ყოჩიაშვილი და უბრძანა, ასეული გადაეყვანა „მისხაკოს“ კონცხზე, ღვინის სარდაფების მიმართულებით, მოესპო მტრის სანაპირო საცეცხლე წერტილი, გზა გაეხსნა ჩვენი მომდევნო სადესანტო ჯგუფებისათვის.

ყოჩიაშვილმა გემზე შეაღამისას დატვირთა ასეული და მტრის შეუმჩნევლად მიადგა ნაპირს. ნაპირთან მიახლებისას ასმეთაურმა შეკრიბა ოცეულის მეთაურები: ირაკლი იაშვილი, სანდრო ხეცურიანი, გიორგი სტურუა და ვალერიან ქათამაძე.

— ჩვენი ამოცანა, — უთხრა მათ ყოჩიაშვილმა, — რთული და სახიფათოა, ალბათ, ზოგ ჩვენგანს სიცოცხლის ფასად დაგვიჯდება, მაგრამ გვახსოვდეს, რომ ქართველები ვართ და მამა-პაპათა ხსოვნის შერცხვენა არ გვეპატიება. სირცხვილი არ უნდა ვჭამოთ!

— ამხანაგო ილია, — ერთხმად შესძახეს მეთაურებმა, — ჩვენც იმ ქართველების სისხლ-ხორცნი ვართ და გჯეროდეთ, რომ სამშობლოს არ შევარცხვენთ.

ნაპირზე წყალი თხელი იყო და გემი შორს გაჩერდა. ყინულივით ცივ წყალში პირველი გადახტა ასეულის მეთაური და სიტყვა დაიგდო — თუ ბრძოლაში დავეცი, ასეულს იაშვილი უხელმძღვანელებსო. მას მიჰყვნენ მებრძოლი დიმიტრი იაკობაშვილი და სხვები. მტერმა ტყვიამფრქვევების ცეცხლი შეაგება ნაპირზე გადასულთ. მესამე ასეულის მეომრებმა 3 საათის ბრძოლით 100 მეტრით წაიწიეს წინ და პლაცდარმი დაიჭირეს.

მომდევნო დესანტში 299-ე საარტილერიო გვარდიული ლეგიონის ერთ-ერთი ქვემეხის გათვლის მეთაურმა არჩილ ცაკაშვილმა თავისი ქვემეხი პირველმა გადაიტანა ხმელეთზე და ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა მტერს. მომდევნო სადესანტო ნაწილების ნაპირზე გადასვლა დაიფარა.

კუნიკოვის დესანტის მებრძოლმა ოთარ ჯაიანმა „მცირე მიწის“ (ეს სახელი შეარქვეს მებრძოლებმა „მისხაკოს“ კონცხს თავისი სიმცირის გამო) ბრძოლებში მტრის 37 ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურა, მოსპო 14 ტყვიამფრქვევის წერტი, აფეთქა 5 ხანგრძლივი საცეცხლე წერტი.

მტერთან ბრძოლებში მამაცობისა და გმირობის უკვნობი სახელი მოიპოვეს არტილერისტებმა: გიორგი ლომიძემ, ალექსანდრე ქავთარაძემ, გური დოლიძემ; მსროლელი ნაწილების მებრძოლებმა და მეთაურებმა: დავით მდინარაძემ, აპოლონ ქუჩუკაშვილმა, თეიმურაზ ეგაძემ, ივანე გიორგაძემ, ვასილ ბერიაშვილმა და მრავალმა სხვამ.

17 აპრილს გერმანელები ფსიქიკურ შეტევაზე გადმოვიდნენ. დესანტის ზღვაში გადაყრას ლამობდნენ. იმ დღით ფაშისტებმა 2000 თვითმფრინავგაფრენა მოახდინეს, 80 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეა აამოქმედეს, ბრძოლის ველზე 250 ტანკი გამოიყვანეს. თვითეულ საბჭოთა მეომარზე 5 საარტილერიო ჭურვი ისროლეს, მაგრამ „მცირე მიწის“ პატარა გარნიზონის წინააღმდეგობა ვერ დაჯაბნეს.

შუადღისას მტერმა ხელთ იგდო უპირატესობა და მისი ტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტმა გზა მოუჭრა ჩვენს ერთ-ერთ ასეულს. კრიტიკულ მომენტში მებრძოლი ვასილ პეტრიაშვილი წამოიმართა, მტრის საცეცხლე წერტთან მიირბინა, სათოფური მკერდით დაფარა და სიცოცხლის ფასად ასეულს გზა გაუხსნა. ამ ცხარე ბრძოლაში ვახტანგ ჩიქოვანის ოცეულის 26-მა სნაიპერმა მტრის 311 ოფიცერი და ჯარისკაცი მოსპო, ხოლო სნაიპერმა მებალიშვილმა 54 ფაშისტი გამოასალმა სიცოცხლეს.


მტერმა ვერ შეისრულა საწადელი — დამარცხდა. ფაშისტების მე-17 არმიის ერთ-ერთი დივიზიის 2 მებრძოლი ტყვედ ჩაიგდეს ჩვენებმა. მათ დაკითხვისას თქვეს: ჩვენთან ლაპარაკობენ, სტალინს „მცირე მიწაზე“ სულ კომუნისტები გამოუგზავნია და ისინი არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაიხევენო. არც დაიხიეს უკან ჩვენმა მეომრებმა. 225 დღე უმკლავდებოდნენ მტერს და 1943 წლის 10 სექტემბერს დაიწყეს გადამწყვეტი შეტევა. 16 სექტემბერს ნოვოროსიისკი კვლავ დიად საბჭოთა სამშობლოს დაუბრუნდა.

ნოვოროსიისკისათვის ბრძოლებში ათასზე მეტი ქართველი მეომარი მონაწილეობდა. ბევრი მათგანი, საბრძოლო ჯილდოებით მკერდამშვენებული დაუბრუნდა მშობლიურ კერას და მებრძოლის სინდისით კვლავ ემსახურება საყვარელი სამშობლოს დიადი აღმშენებლობის საქმეს.

სამარადისო ხსოვნა ბრძოლაში დაცემულთ!

გიორგი გოსიძაშვილი,
თადარიგის კაპიტანი, ნოვოროსიისკისათვის ბრძოლების მონაწილე.

ზარელუები



ფოთელი ეძვთიმე ზარელუა მუშა იყო, ქართული მარგანეცით ტვირთავდა უცხოეთის გემებს. ოჯახის კერას ქალ-ვაჟი უთბობდა. ვლადიმერმა ტექნიკუმი დაამთავრა, მერე კოლხეთის ჭაობის ამოშრობაში მონაწილეობდა, იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

დაიწყო დიდი სამამულო ომი და იმ დღიდან დამთავრებამდე იბრძოდა ქართველი ვაჟკაცი. ფაშისტური ურდოები მარუხის ულელტეხილს რომ მოადგნენ, სამშობლოს დამცველთა რიგებში იყო ვლადიმერ ზარელუაც და დიდი წვლილი შეიტანა კავკასიის მისადგომებთან მტრის განადგურების საქმეში.

1942 წელს ვლადიმერ ზარელუა ამიერკავკასიის ფრონტის შავი ზღვის ჯგუფში მსახურობს სამმართველოს უფროსად, მერე მე-18 სადესანტო არმიის ერთ-ერთი განყოფილების უფროსია და იბრძვის გამოჩენილი მხედართმთავრის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის მეთაურობით.

ქალაქ ნოვოროსიისკის განსათავისუფლებლად 1943 წლის თებერვალში დესანტი გადასხეს „მცირე მიწაზე“. ამ ისტორიული ოპერაციის მონაწილეა ვლადიმერ ზარელუაც, იგი პირადი მაგალითით ამხნევებდა და რაზმავდა საბჭოთა არმიის მებრძოლებს იმ ცხარე ბრძოლებში, რომლებიც მაშინ „მცირე მიწაზე“ გაჩაღდა. ამ დროისათვის ვლადიმერ ზარელუას მთავრობისა და სარდლობის ბევრი ჯილდო და მადლობა ჰქონია მიღებული. მის გამბედაობასა და სიმამაცეზე არმიის სარდლობა 1943 წლის 12 ოქტომბერს წერდა: „ამხ. ზარელუა გამბედავი, ენერგიული მებრძოლი, ინიციატივიანი ხელმძღვანელია, სისტემატურად იმყოფება ნაწილებსა და შენაერთებში, რომლებიც მოწინავე ხაზზე დაძაბულ ბრძოლებს ეწევიან ვერაგი მტრის წინააღმდეგ, იქ იგი პრაქტიკულ დახმარებას უწევს არა მარტო ნაწილებისა და შენაერთების მუშაკებს, არამედ სარდლობასაც, რათა საბრძოლო დავალება დროულად შესრულდეს. ამხ. ზარელუა დიდ ყურადღებას აქცევს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საქმეს. ის პერიოდულად ატარებს ნაწილებისა და შენაერთების სხვადასხვა განყოფილების პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირებს პოლიტიკური განყოფილების უფროსების მონაწილეობით, თათბირზე თვითონ გამოდის ბოლშევიკური კრიტიკით და სახავს კონკრეტულ ამოცანებს მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამხ. ზარელუა პოლიტიკურად მომზადებული კომუნისტია, აქტიურ მონაწილეობას იღებს საავტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში. არმიის პირად შემადგენლობაში ზარელუა ნამდვილად დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს“.

ამ დოკუმენტს სხვებთან ერთად ხელს აწერდა არმიის პოლიტიკური განყოფილების მაშინდელი უფროსი ლეონიდ ბრეჟნევი.

ნოვოროსიისკის განთავისუფლების შემდეგ ვლადიმერ ზარელუა მონაწილეობს ტამანის ტერიტორიაზე მოკალათებული ფაშისტების განადგურებაში, მერე თავი გამოიჩინა უკრაინის ზევრი ქალაქისა და სოფლის განთავისუფლებაში. 1944 წლის ნოემბერში ვლადიმერ ზარელუას გენერალმაიორის წოდება მიენიჭა.

ამის შემდეგ ვლადიმერ ზარელუა მე-18 სადესანტო არმიიდან გადაიყვანეს მესამე გვარდიულ არმიაში განყოფილების უფროსად და მონაწილეობდა ქალაქების: კრაკოვის, კელცეს, ოსტრუვის განთავისუფლებაში. საბრძოლო დამსახურებისათვის მას ჩვი-

მამულიშვილნი

ბებია ეკატერინე შველიძე



შროშელი ბებია — ეკატერინე შველიძე

ათას მზეზე აორთქლილი,
ასე ტკბილი, ასე თბილი
მამა-პაპის კერა.

...87 წლისაა ეკატერინე შველიძე. ოთარაანთ ქვრივს ეძახის მთელი სოფელი. მოხუცდა ბებია ეკატერინე, ძალიან მოხუცდა, მაგრამ მაინც მხნედ გრძნობს თავს, უსაქმოდ წუთითაც ვერ ნახავთ. ხან ბოსტანში დაფუსფუსებს, ხან აბრეშუმის ჭიას უვლის, ხანაც ბაღ-ვენახში საქმიანობს.

— ადრე სულ ბრიგადირად გმუშაობდი, — ამბობს იგი, — ახლა კი ამ პატარა საქმეს მაინც გავაკეთებ, კოლმეურნეობას აბრეშუმის პარკის გამოყვანაში მივახმარ ხელს.

ცხოვრების დიდი გზა აქვს გავლილი ეკატერინე შველიძეს, ბევრი ამბის მომსწრეა. კარგად ახსოვს ის დრო, როცა სოფელში წასწავლი კაცის ხსენებაც არ იყო, უკიდურესი სიღარიბე და უუფლებობა მძიმე ტვირთად აწვა მშრომელ კაცს.

ერთხელ სოფელში დიდი თოვლი მოვიდა, — იგონებს ეკატერინე, — მაშინ შვიდი წლისა ვიყავი. მიწური ჭოხები თოვლმა დაფარა, ისედაც მიყრუებული სოფელი სულ მოსწყდა გარესამყაროს. ვინ იყო მშვილელი, ვის რაში აინტერესებდა ღატაკი გლეხკაცობის ბედ-იღბალი. ისხდნენ ფარღალალა ჭოხებში და გამოდარებას ელოდნენ. მერე ფერდობებიდან ზვავი წამოვიდა და იქაურობა მთლად დაფარა.

პატარა კატოს ბედად მოუსწრია სახლიდან გამოსვლა, მისი ოჯახის წევრები კი ჭოხში ცოცხლად დაუმარხავს ზვავს.

დაობლებულა კატო. სამადლოდ ხან ვინ შეიკედლებდა საწყალ გოგოს, ხან ვინ. თითისტოლა ბავშვი შრომას შესჩვეოდა, რომ იმითვითვე მოეპოვებინა სარჩო-საკვები.

მერე თითქოს ბედმა გაუღიმა კატოს. ღარიბ, მაგრამ გამრჯე ვაჟკაცზე გათხოვილა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს წელებზე ფეხი დაუდგამთ, ნაბდისოდენა მიწაზე ჭოხი აუშენებიათ და ცხოვრების უღელი ერთად გაუწევიათ. ოთხი ბიჭი შეეძინა კატოს, კალმით დახატული ოთხი ვაჟი. გამრჯე შრომაში გადძოდა გლეხკაცისათვის მძიმე და მომჭანცველი წლები, მაგრამ შრომაშიც შემოანათა ახალი ცხოვრების მზემ. გაიხარა გლეხკაცმა, მომავალს თვალი იმედიანად გაუსწორა. მერე შროშელებმაც კოლმეურნეობა დაარსეს და საერთო ძალით ბედნიერი ცხოვრების შენება დაიწყეს. კატო და მისი მეუღლე ერთ-ერთი პირველნი შევიდნენ კოლმეურნეობაში.

სამწუხაროდ, კატო ადრე დაჭკვივდა. მარტოს ოჯახის გაძღოლაც დაეკალა და წვრილშვილის მოვლა-პატრონობაც. მთელი სოფელი პატივსა სცემდა სანაქებო მეოჯახეს და მეაბრეშუმეს. ოქროს გული და ოქროს ხელები აქვსო კატოს, — ამბობდნენ შროშელები. შვილები თავიანთ სოფელშივე სწავლობდნენ...

მერე ომის შავი ღრუბლები ჩამოწვა სამშობლოს ცაზე. რა რიგნე, — მაშინ შვიდი წლისა ვიყავი. მიწური ჭოხები თოვლმა დაფარა, ისედაც მიყრუებული სოფელი სულ მოსწყდა გარესამყაროს. ვინ იყო მშვილელი, ვის რაში აინტერესებდა ღატაკი გლეხკაცობის ბედ-იღბალი. ისხდნენ ფარღალალა ჭოხებში და გამოდარებას ელოდნენ. მერე ფერდობებიდან ზვავი წამოვიდა და იქაურობა მთლად დაფარა.

პატარა კატოს ბედად მოუსწრია სახლიდან გამოსვლა, მისი ოჯახის წევრები კი ჭოხში ცოცხლად დაუმარხავს ზვავს.

დაობლებულა კატო. სამადლოდ ხან ვინ შეიკედლებდა საწყალ გოგოს, ხან ვინ. თითისტოლა ბავშვი შრომას შესჩვეოდა, რომ იმითვითვე მოეპოვებინა სარჩო-საკვები.

მერე თითქოს ბედმა გაუღიმა კატოს. ღარიბ, მაგრამ გამრჯე ვაჟკაცზე გათხოვილა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს წელებზე ფეხი დაუდგამთ, ნაბდისოდენა მიწაზე ჭოხი აუშენებიათ და ცხოვრების უღელი ერთად გაუწევიათ. ოთხი ბიჭი შეეძინა კატოს, კალმით დახატული ოთხი ვაჟი. გამრჯე შრომაში გადძოდა გლეხკაცისათვის მძიმე და მომჭანცველი წლები, მაგრამ შრომაშიც შემოანათა ახალი ცხოვრების მზემ. გაიხარა გლეხკაცმა, მომავალს თვალი იმედიანად გაუსწორა. მერე შროშელებმაც კოლმეურნეობა დაარსეს და საერთო ძალით ბედნიერი ცხოვრების შენება დაიწყეს. კატო და მისი მეუღლე ერთ-ერთი პირველნი შევიდნენ კოლმეურნეობაში.

სამწუხაროდ, კატო ადრე დაჭკვივდა. მარტოს ოჯახის გაძღოლაც დაეკალა და წვრილშვილის მოვლა-პატრონობაც. მთელი სოფელი პატივსა სცემდა სანაქებო მეოჯახეს და მეაბრეშუმეს. ოქროს გული და ოქროს ხელები აქვსო კატოს, — ამბობდნენ შროშელები. შვილები თავიანთ სოფელშივე სწავლობდნენ...

მერე ომის შავი ღრუბლები ჩამოწვა სამშობლოს ცაზე. რა დაავიწყებს დედას იმ დღეს, როცა ზესტაფონის სადგურიდან ფრონტზე გააცილა თავისი ვაჟკაცები — 20 წლის ლადო და 18 წლის შოთა. დედას მას შემდეგ აღარ უნახავს საყვარელი შვილები — ორივე გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. რა გაანელებს დედის სევდას?

კატოს კიდევ ორი შვილი ჰყავდა გასაზრდელი, შრომასა და შვილების მოვლა-პატრონობაში იკლავდა დარდს. მერე შვილებმა სკოლა დაამთავრეს, თბილისს მოაშურეს და უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძეს სწავლა...


მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო. ეკატერინეს უფროსი ვაჟი კირილე რესპუბლიკის დამსახურებული რკინიგზელი გახლავთ, უმცროსი, პავლე დედაქალაქის ერთ-ერთი ქარხნის ინჟინერია. ორივე თბილისში ცხოვრობს, ორივემ მადლიანი ოჯახი შექმნა და შვილიშვილებით გაახარა მოხუცი დედა. როგორც კი თავისუფალ დროს იგდებენ ხელთ, მაშინვე ოჯახებით შრომას მიაშურებენ, დედას ბოსტანსა და ბაღ-ვენახს დაუბარავენ, მოუვლიან, საღამოობით კი ძველებურად შემოუსხდებიან ოჯახურ სუფრას. შვილებმა რამდენჯერმე სთხოვეს დედას: სოფელს შეელიე, თბილისში გადმოსახლდი, შენზე ძვირფასი ვინა გვყავსო.

— არა, აგრემც შემოგივლებათ დედა, მთელი ჩემი ცხოვრება შროშაში გავატარე, თქვენც აქ დაიბადეთ და თქვენი ძმებიც. მშობლიურ კერაში ცეცხლს როგორ ჩავაქრობ! ნუ მთხოვთ სოფლის დატოვებას, არ შემიძლია!

და ცხოვრობს თითქმის საუკუნეს მიტანებული დედა სოფელში. ცხოვრობს მთლონებებით, მაგრამ სიცოცხლის სიყვარული როდი განელებია, უყურებს სოფელში ჩამოსულ შვილებს, რძლებს, შვილიშვილებს და სიცოცხლის წლები ემატება ქართველ ამაგდარ დედას....

ალისა დარჩია

ის ოჯახი



სურათზე: მარცხნიდან — კონსტანტინე ლესელიძე და ვლადიმერ ჯარელუა ნოვოროსიისკის მისადგომებთან. 1943 წ.

დმეტჯერ გამოეცხადა უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა, დაჯილდოებულია წითელი დროშის სამი, წითელი გარსკვლავის ორი და სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებით.

როცა დიდი სამამულო ომი საბჭოთა კავშირის გამარჯვებით დაგვირგვინდა, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ზარელუა პრაღაში იმყოფებოდა.

1945 წლის შემოდგომაზე ვლადიმერ ზარელუა მანჯურიაში იბრძოდა იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

...ზარელუა მამა! პირველი ვაჟი ანზორი 1938 წელს იშვილეს ვლადიმერ და ნინო ზარელუებმა; როცა ომი დაიწყო და ოჯახის ნამამ სამშობლოს დასაცავად იარაღი აისხა, გენერლის მეუღლე ნინო და ვაჟი ანზორი გამარჯვების მოლოდინით ცხოვრობდნენ. პატარა ანზორი რუკაზე დევნებდა თვალს მამის საბრძოლო გზას.

დაუნდობლად იბრძოდა ვაჟკაცი, რომელსაც იშვიათი კაცთმოყვარე გული ჰქონდა. ბავშვები უყვარდა თავდავიწყებით და როცა გერმანიაში საკონცენტრაციო ბანაკის განთავისუფლებისას ექვსიოდე წლის ლამაზ, ჭკვიან, ფეხში ტყვიით დაჭრილ ბიჭუნას გადაეყარა, უცებ დებედო ყმაწვილზე გული. ჩემთან წამოდიო, — უთხრა. ბიჭუნამ ჯერ იუარა — სამხედროებს სათამაშოები არა აქვთო, მერე მაინც მოიხიბლა კეთილი ძიით და მის ადიუტანტს ბანოში გაჰყვა. ბანავეს, გაასუფთავეს, მერე სამხედრო ფორმაში გამოაწყეს პატარა ალექსანდრე. გენერალმა თბილისში წერილი აფრინა, ესე და ესეა ჩემი საქმე, ანზორს ძმა უნდაო...

გლადიმერ ზარელუამ მალე მიიღო მეუღლის დეპეშა: „ვაჟიშვილი ეხლავე გამოგზავნე თბილისში“.

...ოჯახში ოთხნი იყვნენ. ცოლ-ქმარმა მოილაპარაკეს, ძმებს დაც სჭირდებათო და იშვილეს გოგონა, რომელსაც ვლადიმერის დედის სახელი — ცაცუ დაარქვეს.

გავიდა წლები.

გენერალი უკვე კარგა ხანია გადმდგარია, სექტემბერში 70 წლისა გახდა. ასაკი სოლიდურია, მაგრამ ყოფილი ჯარისკაცი მხნედ გამოიყურება და უქმად რა გააჩერებს. თადარიგში გადასვლის შემდეგ მუშაობდა აჭარის ასსრ აღგილობრივი მრეწველობის, შემდეგ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილედ, ბათუმის მეხუთე სამკერვალო ფაბრიკის დირექტორად, თბილისის საქალაქო საბჭოში. ამჟამად საქართველოს სსრ წყალში მაშველი რესპუბლიკური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეა, სამოქალაქო საქმესაც ჯარისკაცური შემართებით უძღვება.

შვილები დაიზარდნენ, დაცოლშვილდნენ, დაქმარშვილდნენ. ოთხი შვილიშვილი ჰყავთ ვლადიმერ და ნინო ზარელუებს. მათ ოჯახში მუშაობენ, სწავლობენ, სხვებს ასწავლიან. ცაცუ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლაბორანტია. ალექსანდრე მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გახდა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში მუშაობს. ალექსანდრემ რუსულად დაამთავრა სკოლა (მაშინ მამა რუსეთში მუშაობდა), უნივერსიტეტში კი ქართულად სწავლობდა. მისი პატარა ვაჟი თბილისის ქართულ სკოლაში დადის და ბებიას ქართულს უსწორებს ხოლმე, ბებიკო, „შკაფი“ კი არა, კარადა თქვიო...

ბრძოლაშიც ვაჟკაცი იყო, შრომაშიც თავდადებულია 70 წლის გადამდგარი გენერალი, კეთილი კაცი, ოჯახის პაპა და საქებარი მოქალაქე. დიდხანს იცოცხლოს შვილთა და შვილიშვილთა გასახარელად, ჩვენი ახალგაზრდობისათვის კაცური კაცობისა და მამულიშვილობის საქებარ მაგალითად.

ჯემალ ქურხული

ქართული ლიტერატურის ამაგდარი

ცნობილ კრიტიკოსსა და ლიტერატურათმცოდნეს ბესარიონ ჯღენტს შეუსრულდა დაბადების 70 წელი, ამასთან დაკავშირებით გაზეთის რედაქციამ შეკითხვებით მიმართა ქართული ლიტერატურის ამაგდარს, რომელსაც პატივისცემით ვულოცავთ იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ნაყოფიერ მუშაობას. შეკითხვებზე გვპასუხობს იუბილარი.

● **ცოტა რამ თქვენი ბიოგრაფიიდან.**

— ჩემი ლიტერატურული ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიმაჩნია ის ეპიზოდი, როცა 1913 წელს, ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში შესვლისთანავე, 10 წლის ბაკშვი დავუმეგობრდი ჩემს თანატოლებს სიძონ ჩიქოვანს, აკაკი ბელიაშვილს, ნიკოლოზ ჩაჩავას, დავით გაჩეჩილაძეს. მას შემდეგ ჩემი ცხოვრების გზაზე ამხანაგებისა და მეგობრების წრე დაუსრულებლად ფართოვდებოდა, მაგრამ სიყრმის ამ მეგობრებთან ურთიერთობაში ჩამოყალიბდა ჩემი პიროვნება და მათთან მეგობრობამ, რამაც მთელი ცხოვრების მანძილზე გასტანა, გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩემს ბიოგრაფიაში.

...1915 წლის თებერვალში, აკაკი წერეთლის გარდაცვალების დღეს, ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში გამართულ სამგლოვიარო შეკრებაზე გამომიყვანეს აკაკისადმი მიძღვნილი ლექსის წასაკითხად. ეს იყო ჩემი პირველი საჯარო გამოსვლა, რის შემდეგ შემიყვარდა და შევეჩვიე ხალხთან, მკითხველთან, ფართო აუდიტორიასთან ყოველდღიურ ურთიერთობას. უკვე იმ ხანებში ზემოთ დასახელებულ ჩემი სიყრმის მეგობრებთან ერთად ვუშვებდი ხელნაწერ ლიტერატურულ ჟურნალს, ხოლო მალე ქართული გიმნაზიის დირექტორის, დიდი ქართველი პედაგოგის იოსებ ოცხელის ხელშეწყობითა და დახმარებით, რომელიც პირადად გვაძლევდა ფულსა და ქაღალდს, დავიწყეთ ლიტერატურული ჟურნალების გამოცემა.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე, 1921-22 წლებში, ჩამოვაყალიბეთ ქართველ ფუტურისტ-ლეფელთა ჯგუფი. ამ დროისათვის ჩვენს პატარა წრეს შემოუერთდნენ ახალგაზრდა ქართველ ლიტერატორთა, კინემატოგრაფისტთა, მხატვართა და სხვა თვალსაჩინო შემოქმედებითი ძალები.

1925 წლის დამდეგს მე, უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი, 21 წლის ყმაწვილი, მიმიწვია ჟურნალ „მნათობის“ იმდროინდელმა რედაქტორმა, ცნობილმა მოღვაწემ ვალია ბახტაძემ და დამავალა 1924 წლის ქართული ლიტერატურული ცხოვრების მიმოხილვა. ბუნებრივია, მაშინ ეს ჩემთვის მეტად მოულოდნელი და ამაღელვებელი იყო. რედაქტორის გამხნევებითა და დახმარებით ეს დავალება შევასრულე და 1925 წლის „მნათობის“ პირველ და მეორე ნომერში დაიბეჭდა ჩემი პირველი ვრცელი ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომი. მართალი გითხრათ, დღესაც შიშსა ვგრძნობ ამ ნაშრომის გადაკითხვისას... მაშინ ჩვენს ლიტერატურაში ერთობ ძლიერი ლიტერატურული ძალები მოღვაწეობდნენ და დღესაც არ ვიცი, როგორ გავართვი თავი ამ დავალებას. უკვე ერთი წლის შემდეგ ახლად დაარსებულ ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ დაიბეჭდა ჩემი მიმოხილვა „ქართული მწერლობა 1926 წელს“ და მას შემდეგ სისტემატურად იბეჭდება ჩემი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები ქართულ და რუსულ პრესაში, რესპუბლიკურ და საკავშირო პერიოდიკაში.

1926 წელს 22 წლის ყმაწვილი ვმონაწილეობდი ქართველ მწერალთა პირველი ყრილობის მუშაობაში. რამდენჯერმე მომიხდა გამოსვლა ამ ყრილობაზე. მახსოვს, აქ მთავარმა მომხსენებელმა ფილიპე მახარაძემ თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა: ამ ყრილობაზე ჩემი მთავარი შენაძენი ის იყო, რომ ცოცხალი ფუტურისტი ვნახე და მოვისმინე. თურმე, ადამიანური ლაპარაკიც შესძლებიათ, ჰკუაც ჰქონიათ და აზრიც, არც გაბათლება აკლიათ. ეგრე სჯობია, ყმაწვილებო, რაზე იმახინჯებთ თავს რაღაც უაზრობითა და სისულელეებით! მას შემდეგ განუწყვეტლივ ვმონაწილეობ ქართველ მწერალთა ყველა ყრილობის, ყველა ლიტერატურული პლენუმის, თათბირის, დისკუსიის მუშაობაში და შემიძლია ვთქვა, რომ ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე არ ყოფილა ქართულ ლიტერატურაში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც შეძლებისდაგვარი მონაწილეობა არ მიმეღოს. არ შექმნილა რაიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ქართული პოეზიის, პროზის, დრამატურგიის დარგში, რაზეც ჩემი აზრი არ გამომეთქვას.

1932 წელს მწერალთა ყრილობამ ამირჩია საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნად და მას შემდეგ განუწყვეტლივ ვმონაწილეობ საქართველოს მწერალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებში. საკავშირო მწერალთა უკანასკნელ ყრილობებზე ზედიზედ ვიყავი არჩეული სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად. ამრიგად, ჩემი პირადი ბიოგრაფია განუყოფლად არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პროცესებთან. ლიტერატურული მუშაობის გარდა, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ვიწევი უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, ვარ საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრი, კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრი და სხვა. ვარ მცირე ლიტერატურული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ლიტერატურისმცოდნეობის საბჭოს წევრი და სხვა.

● **— ყველაზე სასარგებლო და საჭირო საქმედ რა მიგაჩნიათ?**

— მუშაობა სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ. მიმაჩნია, რომ ადამიანის უპირველესი ღირსება და უმაღლესი დანიშნულება სწორედ ეს არის, იგულისხმება, რომ ყოველი ადამიანი თავისი პროფესიის, ნიჭისა და შესაძლებლობის მიხედვით უნდა ახორციელებდეს ამ დანიშნულებას.

● **— რა მიგაჩნიათ უპირველეს ჭეშმარიტ გრძნობად?**

— პატრიოტიზმი. თავისთავად ცხადია, რომ ეს გრძნობა არამცთუ არ ეწინააღმდეგება, არამედ პირდაპირ გულისხმობს ხალხთა მეგობრობის წმინდა გრძნობას, ინტერნაციონალიზმის მაღალ იდეას, რომ ამ



გრძნობას, თუ იგი ნამდვილი და ჭეშმარიტია, არაფერი აქვს საერთო ეროვნული შეზღუდულობისა და კარჩაკეტილობის მისწრაფებასთან, მით უფრო ნაციონალიზმთან.

● **— რას იტყოდით დროის ძახილზე?**

— ყოველ ადამიანს, მით უმეტეს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, მოეთხოვება, გამახვილებული ჰქონდეს თანამედროვეობის გრძნობა, დროის ძახილის მთსმენისა და გაგების უნარი, მასზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის ნიჭიერება. უამისოდ წარმოუდგენელია არამცთუ რაიმე სრულფასოვანი შემოქმედებითი ცხოვრება, არამედ, საერთოდ, ღირსეული მოქალაქეობრივი არსებობა. ამას გვასწავლის საკაცობრიო კულტურის მთელი გამოცდილება და მით უფრო ჩვენი თანამედროვეობის ინტერესებისა და ამოცანების ფხიზელი გააზრება.

● **— რას იტყოდით დედაენაზე?**

— დედაენა წარმოადგენს ადამიანის ერუდიციის, გარესამყაროსთან მშობლიური და საკაცობრიო კულტურის ურთიერთობისა და შემოქმედებითი ცხოვრების უპირველეს საშუალებას. ადამიანის დიდ შეზღუდულობად და მისი ბიოგრაფიის სავალალო ხარვეზად მიმაჩნია დედაენის არასაკმაო და არასათანადო სიღრმით ცოდნა. ამ საკითხზე არაერთხელ მქონდა შემთხვევა მეთქვა მრავალ მეცნიერულ-შემოქმედებით თათბირსა და კონფერენციაზე. ჩვენი ეპოქის, სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვრად ის მიმაჩნია, რომ მან ყველა ხალხსა და ეროვნებას თანაბარი საშუალება მისცა დედაენაზე განვითაროს ეროვნული კულტურა. სწორედ ამგვარ ეროვნულ კულტურათა დაახლოების, ურთიერთზემოქმედების, ურთიერთგამდიდრების შედეგად იქმნება ჩვენი მრავალეროვანი, სოციალისტური კულტურა — ინტერნაციონალური თავისი სულისკვეთებითა და მისწრაფებებით.

● **— რას იტყოდით ახალგაზრდობაზე?**

— ამ საკითხზე არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს. როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში, ლიტერატურაშიც ახალგაზრდობა ხვალინდელი დღის იმედია. ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ უპირველეს გამართლებად მიმაჩნია, რომ მრავალი წლის მანძილზე უშუალოდ და სისტემატურად ვხელმძღვანელობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს, რომელშიც აღიზარდა მთელი თაობა მაღალნიჭიერი პოეტებისა, პროზაიკოსებისა, დრამატურგებისა, კრიტიკოსებისა და ლიტერატურისმცოდნეებისა. ისინი დღეს ჩვენი ეროვნული მწერლობის მშვენებასა და სიამაყეს წარმოადგენენ.

● **— სამშობლოს მცნებაზე რას გვეტყოდით?**

— ყოველი ადამიანისათვის სამშობლო ის მიწა-წყალია, რომელზეც მისი მშობელი ხალხი ცხოვრობს და მოღვაწეობს, მაგრამ სამშობლო მარტო გეოგრაფიული მცნება როდია. ჩვენთვის სამშობლოს მცნებაში იგულისხმება ის სოციალური წყობილებაც, რომელიც მოიპოვა ჩვენმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი, თავდადებული ბრძოლის შედეგად. ქართველი კაცისათვის სამშობლო საბჭოთა საქართველოა, მაგრამ არა მარტო საბჭოთა საქართველო, ვინაიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველო განუყოფლად არის დაკავშირებული ჩვენს მრავალეროვან საბჭოეთთან როგორც მისი განუყოფელი შემადგენელი ნაწილი, ამიტომ მთელი საბჭოეთიც ჩვენი სამშობლოა, რომლის კეთილდღეობა, ძლევამოსილება და სასიცოცხლო ინტერესები ისევე ღვიძლი და მშობლიურია ქართველი კაცისათვის, როგორც ყოველი სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქისათვის.

● **ვინ მიგაჩნიათ კარგ მამულიშვილად?**

—ის, ვინც არა მარტო თავისი, თუნდაც უაღრესად წრფელი გრძნობებით, ლამაზი და შთაგონებული სიტყვებით, არამედ საქმით, მუშაობით, თავისი მთელი არსებობისა და მოღვაწეობის შინაარსით უანგაროდ ემსახურება სამშობლოს კეთილდღეობისა და ძლევამოსილების საქმეს.

● **— ვინ არიან თქვენი საყვარელი მწერლები?**

— ამ კითხვაზე ჩემთვის ძნელია პასუხის გაცემა, შეუძლებელიაც მე ყველა ნიჭიერი მწერალი მიყვარს, ისინი კი იმდენია, კლასიკური თუ თანამედროვე, მშობლიურ თუ უცხოურ ლიტერატურაში, რომ მათი სრული აღნუსხვა შეუძლებელიც არის და არც არის საჭირო. ჩემთვის, მაგალითად, ძნელია თქმა, რომელი უფრო საყვარელია — შექსპირი თუ გოეთე, დანტე თუ ბაირონი, პუშკინი თუ ტოლსტოი, ბარათაშვილი თუ ვაჟა, გალაკტიონი თუ გოგლა...

● **— თქვენ ბევრს მოგზაურობთ უცხოეთში, შეხვედრიხართ ჩვენს თანამემამულეთ. გვიამბეთ ამ შეხვედრებზე.**

— უცხოეთში ჩემი ყოველი მოგზაურობის დროს მუდამ ვცდილობ და დიდი ინტერესით ვისწრაფვი შევხვდე სხვადასხვა გარემოებათა გამო სამშობლოსაგან დაშორებულ და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს, ვესაუბრო მათ, გავეცნო მათი ცხოვრების პირობებსა და სულისკვეთებას. 1964 წელს საფრანგეთში ქართველ მწერალთა ერთ ჯგუფთან ერთად მოგზაურობისას შევხვდი პარიზში მცხოვრებ ქართველთა დიდ წრეს. მათ შორის იყვენ ჩემი სიყრმის ამხანაგები, 40 წელიწადს რომ არ მენახა, იყვნენ ჩემი თანასოფლელები, ბავშვობის მოგონება რომ მაკავშირებდა. ვიყავი ზოგიერთის ოჯახში. გვქონდა ფართო, თითქმის ოფიციალური შეხვედრებიც. ყველა ამ შეხვედრის დროს ჩვენი საუბრის მთავარი საგანი ის იყო, რომ ქართველ კაცს, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი, მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი საქართველო, რომლის ბედნიერება, კეთილდღეობა და აყვავება უნდა იყოს ყველას საზრუნავი და საოცნებო საგანი. მე ვგრძნობდი ყოველ იმ შეხვედრაზე, რომ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა უმრავლესობას კარგად ესმოდა: დროთა მსვლელობაში თანდათანობით საფუძველი ეცლება იმ გაუგებრობებს, რომლებიც აშორებდა მათ დედასამშობლოსაგან. იზრდება ინტერესი და მისწრაფება სამშობლოს ცხოვრებისადმი. მას შემდეგ ბევრი მათგანი მართლაც ჩამოვიდა საქართველოში, კმაყოფილებით გაეცნო ჩვენს დღევანდელ ვითარებას, ზოგიერთი კი სამუდამოდ დაუბრუნდა სამშობლოს. ეჭვი არ მეპარება, რომ დაახლოების ეს პროცესი თანდათანობით გაფართოვდება და გაღრმავდება.

● **— რას უსურვებდით გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებს?**

— ვისურვებდი, რაც შეიძლება მალე და სრულად განთავისუფლებულიყვნენ ჩვენი სამშობლოს მოწინააღმდეგეების მიერ გავრცელებული სიცრუის გალენისაგან, უფრო გამჭრიახად ედევნებინოთ თვალყური დღევანდელი საქართველოს ცხოვრებისათვის და ღირსეულად შეესრულებინოთ მამულიშვილური მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

საუბარი ჩაიწერა ჟურნალისტმა

ლია მიქაძემ

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ ბ. დ. ჯღენტის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის დარგში დამსახურებისათვის მწერალი ბესარიონ დავითის ძე ჯღენტი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, **1973** წლის **17** სექტემბერი.

„სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულად

გერმანელმა ქართველოლოგმა ჰაინც ფენრიხმა, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა დაამთავრა და აქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, გერმანულად თარგმნა და ბერლინში გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის საქვეყნოდ განთქმული ნაწარმოები „სიბრძნე სიცრუისა“. წიგნი თარგმნილია პირდაპირ დედნიდან, დართული აქვს უცხო სიტყვების ლექსიკონი, გეოგრაფიული და საკუთარი სახელების სპეციალური და სხვა. გამოცემა დამშვენებულია ჰანს იოახიმ ბერენდტის მარჯვედ შესრულებული ილუსტრაციებით. თარგმანის ბოლოთქმა ელკე ერბის ეკუთვნის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საბას „სიბრძნე სიცრუისას“ ეს გერმანული თარგმანი პირველი არ არის. იგი ამ ენაზე გადაიღო ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე პროფესორმა მიხაკო წერეთელმა. არსებობს ნაწარმოების რუსული (პროფ. ა. ცაგარლის, სოლომონ იორდანიშვილის), ინგლისური (ოლივერ უორდროპის), უნგრული, პოლონური, ავრეთვე ფრანგული შემოკლებული თარგმანები.

ჰ. ფენრიხის ნამუშევრის თაობაზე უნდა ითქვას, რომ იგი არ ღალატობს „სიბრძნე სიცრუისას“ სათაურის ინტერპრეტაციის გერმანიაში დამკვიდრებულ ტრადიციას და ნაწარმოების სახელს თარგმნის სავსებით მართებულად. მის მიერ თარგმნილი სათაური არა „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ (ე. ი. იგავ-არაკები, რომლებიც შეიცავს სიბრძნესაც და სიცრუესაც), არამედ „სიბრძნე სიცრუისა“, ე. ი. სიცრუის (აქ სიცრუე გამონაგონს ნიშნავს) სიბრძნე. სათაურის ეს თარგმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მისი ღრმა ფილოსოფიური აზრი სწორედ ის არის, რომ აქ „სიცრუე“ (ე. ი. გამონაგონი) აყვანილია სიბრძნის კატეგორიამდე, ნაწარმოები წარმოადგენს არა უბრალოდ ტყუილ-მართლის ნარევ კრებულს, არამედ ღრმაშინაარსიანი თხზულებაა და ამაში მდგომარეობს სწორედ მისი გენიალობა. რა ფასი ექნებოდა, რომ იგი რაღაც ზღაპრების ხელოვნურად შეკოწიწებულ კრებულად დაგვესახა?! ანდა რა აზრი ექნებოდა მაშინ მის თარგმნას უცხოურ ენებზე? სხვათა შორის, „სიბრძნე სიცრუისას“ ესეთი გაგება დამაჯერებლად დაამტკიცა პროფ. ზ. ავალიშვილმა ნაწარმოების პირველი გერმანული თარგმანის წინათქმაში, აგრეთვე ზოგმა სხვა მკვლევარმა.


აქვე გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულ ჰ. ფენრიხის ამ გერმანული თარგმანის შესახებ ვრცელ ანოტაციაში ნათქვამია, თითქოს ოლივერ უორდროპს „სიბრძნე სიცრუისა“ ინგლისურად ა. ცაგარლისეული რუსული თარგმანიდან გადაეღოს. ეს შეხედულება სწორი არ არის. ა. ცაგარლისეულმა თარგმანმა ინგლისელ ქართველოლოგს მხოლოდ დახმარება გაუწია. ო. უორდროპმა ქართული კარგად იცოდა და მას თარგმანიდან თარგმნა არ სჭირდებოდა. ეს რომ ესეა, იქიდანაც ჩანს, რომ მან პირდაპირ ქართულიდან გადაიღო „ვისრამიანი“. საინტერესოა: თუ ჩვენი ენიდან თარგმნას ვერ ახერხებდა, ნეტავ, რომელი თარგმანი დაეხმარა? იმ დროისათვის ხომ ქართული „ვისრამიანი“ არც რუსულად და არც სხვა რომელსამე ენაზე გადაღებული არ ყოფილა?!

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ჰაინც ფენრიხის ნაშრომი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მ. წერეთლისეულს) ანოტაციაში უცხოურ ენაზე დედნიდან პირველ თარგმანად არის მიჩნეული. არც ეს არის მართალი. თბილისში 1885 წელს გამოცემული ი. მურიეს მიერ ფრანგულად გადაღებული საბას ზოგი იგავ-არაკი ესევე ძირითადად შესრულებულია დედნიდან (მურიემ ქართული თეორიულად იცოდა), თუმცა მუშაობისას რუსულსაც იშველიებდა.

ის გარემოება, რომ ჰ. ფენრიხის თარგმანი დედნიდან შესრულებულთა შორის პირველი არ არის, სრულიადაც არ სცემს მის ღირსებას. პირიქით, იგი, ჩვენი აზრით, თანამედროვე, დედანთან უფრო ახლოს მდგომი, მხატვრულად სრულყოფილი და ამავე დროს მეცნიერული თარგმანია. ეს კიდევ ერთი ამგვარია, რომელიც მიიტანა გერმანელმა მეცნიერმა დემოკრატიული გერმანიისა და საბჭოთა საქართველოს კულტურული ურთიერთობის მაღალი შენობის ასაგებად.

მიხეილ მამულაშვილი

სპორტული კომენტატორი... პარიზიდან



— ყურადღება! ყურადღება! ჩვენი მიკროფონები მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზეა; ვიწყებთ ფეხბურთის მატჩის ტრანსლაციას. მოედანზე არიან საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები. მსჯის სასტვენის ხმა და მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა დაიწყო თამაში... — ამ სიტყვებით ამცნო ფრანგ მსმენელებს პარიზელმა რადიოკომენტატორმა მატჩის დასაწყისი, რომელიც 1956 წლის 26 მაისს მოსკოვში გაიმართა. როგორც ცნობილია, სწორედ ამ შეხვედრას უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე — ვინ იქნებოდა უძლიერესი ევროპის მეცხრე ჭეიჭგუფში, იმდღევანდელი მოწინააღმდეგეები დ ა ნ რომელი გააგრძელებდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისაკენ მიმავალ გზას.

ფრანგებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს, ჩვენთვის ფრეც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ პარიზში განცდილი მარცხისათვის რევანში იყო საჭირო, და ბიჭებიც თავგამოდებით იბრძოდნენ. მონდომებამ თავისი გაიტანა — საბჭოთა ფეხბურთელებმა ორი უპასუხო ბურთი მოათავსეს მეტოქის კარში... საფრანგეთის გუნდის მარცხით განაწყენებული კომენტატორი ერთი წუთითაც არ კარგავდა ზომიერების გრძნობას და ფრანგების სუსტ თამაშს მხოლოდ და მხოლოდ მეტოქის დამსახურებას მიაწერდა. იგი ერთნაირად აქებდა ყველა საბჭოთა ფეხბურთელს, თუმცა დაკვირვებული კაცი შეამჩნევდა, სტუმარი განსაკუთრებით ენაწყლიანობდა, როცა მისი ქართინაურები ხურცილავასა და ძოძუაშვილს ეხებოდა. მან თავის რეპორტაჟში რამდენჯერმე გაიმეორა: მესხს, მეტრეველსა და ჩოხელს საბჭოთა ნაკრებში ღირსეული მემკვიდრეები ჰყავთო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფრანგი კომენტატორი უშეცდომოდ გამოთქვამდა ხურცილავასა და ძოძუაშვილის გვარებს, ეს კი, დამერწმუნებით, იმ იშვიათ მოვლენას განეკუთვნება, რომელზეც იტყვიან — ათასში ერთხელო...

მატჩი დამთავრდა, სტუმარმა კიდევ ერთხელ შეახსენა ფრანგ მსმენელებს, თუ რა ანგარიშით დასრულდა შეხვედრა, ვინ გაიტანა ბურთები და გამოშვიდობების წინ წესისამებრ დასძინა — რეპორტაჟი მიჰყავდაო საფრანგეთის რადიოს სპორტულ მიმომხილველს ზურაბ კედიას...

• • •

ზურაბი საფრანგეთში დაიბადა და გაიზარდა, ჟურნალისტობა იხურვა და განათლებულმა ყმაწვილმა (იგი ჩინებულად ფლობს ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ ენებს) სპეციალური კურსების გავლის შემდეგ, საფრანგეთის რადიოში დაიწყო მუშაობა სპორტულ კომენტატორად.

15 წლის მანძილზე ჟურნალისტის ძნელად სავალმა, მაგრამ საინტერესო გზებმა ზურაბს თითქმის მთელი მსოფლიო შემოატარეს — რეპორტაჟები გადაუცია ცაში ატყორცნილი ალპებიდან, სადაც ესოდენ მრავალი გამარჯვება აქვთ მოპოვებული ფრანგ მოთხილამურეებს, მრავალჯერ ყოფილა მოწმე, თუ როგორ ამარცხებდნენ მეტოქეებს ფრანგი რეგბისტები და ველოსიპედისტები, როგორ უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს კოპა და ფონტენი...

გზები, დაუსრულებელი გზები, რომელთაც სპორტული ჟურნალისტი ზურაბ კედია მიჰყვებოდა იმედით, რომ როცა იქნებოდა, მშობლიურ საქართველოშიც ჩავიდოდა... საქართველოში, რომლის შესახებ ამდენს უყვება დედა, საქართველოში, რომლის სიყვარულმაც ჯერ კიდევ სულ პატარას ჩოხა-ახალუხი ჩააცვა და პარიზში ჩამოყალიბებული ქართული ცეკვის ანსამბლის წევრი გახადა, საქართველოში, სადაც მას ამდენი ნათესავი ჰყავს, ისიც იცის, ჩავა ნეტარ საქართველოში და ვერავინ უსაყვედურებს — ბიჭო, ქართული არ გისწავლიაო. — ფრანგულზე ნაკლებად როდი იცის დედაენა. ის კი არა, კუთხურად — მეგრულადაც შესანიშნავად ლაპარაკობს...

ოცნება აღუსრულდა — უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ ზურაბი სტუმრად მოიწვია საქართველოში.

— 15 დღის განმავლობაში ძალზე ბევრის ნახვა და განცდა მოვასწარი, — მეუბნება ზურაბი და ცდილობს ყველა შეკითხვაზე შეძლებისამებრ ამომწურავი პასუხი გამცეს (იხ ხომ ჟურნალისტია და უნდა კოლეგას მუშაობა გამიადვილოს), — ვიყავი სამეგრელოში, აფხაზეთში, ვნახე თვალწარმტაცი სოხუმი, თბილისის ყველა კუთხე-კუნჭული დავათვალიერე, რა თქმა უნდა, სახპორტო ბაზებსაც ვესტუმრე, ჩინებული ველოტრეკი და სპორტის სასახლე გავქვთ...

ვის ვიცნობ ქართველი სპორტსმენებიდან? — გაზეთებიდან თითქმის ყველას, ვისაც დიდ სპორტში აქვს ფეხი შედგმული, განსაკუთრებით ფეხბურთელებს ვეთაყვანები. მე კი არა, საფრანგეთში სპორტის ყველა მოყვარულს ახსოვს მესხის, მეტრეველის, იამანიძის თამაში... ნონა გაფრინდაშვილის, ალექსანდრე მეტრეველისა და ომარ ფხაკაძის სახელებიც ძალზე პოპულარულია ჩვენში. მიხეილ ხერგიანიც ახსოვთ საფრანგეთში.

ნეტავ იცოდეთ, როგორ ვამაყობ ქართველი სპორტსმენების გამარჯვებებით. მათ რომ ოქროს მედლებს გადასცემენ, ისე განვიცდი, თითქოს მე ვიდგე ჩემპიონის კვარცხლბეკზე... ეს ჩემმა კოლეგებმაც კარგად იციან და როგორც კი საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა შორის განსხვავებულ, უფრო სწორად, მათთვის ძნელად გამოსათქმელ გვარს მოჰკრავენ ყურს, ჩემთან მორბიან და მეკითხებიან, ქართველი ხომ არ არისო...

არც დამეძრახება ყოველივე ქართულისადმი ესეთი ლტოლვა, მიწის ყივილი ძალუმად არის გამჯდარი ჩემში, ამისთვის ყველაზე დიდი მადლობა დედაჩემს მინდა ვუთხრა... სხვათა შორის, ჩემი დაც ისეთივე თავგამოდებული ქართველია, როგორიც მე. მანაც კარგად იცის ქართული, ისიც, ალბათ, მალე ეწვევა საქართველოს, სამშობლოში ჩამოსვლის ოცნება მასაც ბავშვობიდან მოჰყვება. ჩვენთვის სამშობლო ხომ დედის ლამაზი ზღაპრებით დაიწყო; წამოვიზარდეთ, ქართული ანბანი შევისწავლეთ და გაზეთ „სამშობლოს“ ფურცლებზე შევხვდით მას, ზოგჯერ ეკრანზეც ვუცქერდით. უფრო მოგვიანებით კი სუხიშვილის და რამიშვილის კონცერტებს დავესწარით. — სცენაზე რაც ნახეთ, გვითხრა თვალში ცრემლჩამდგარმა დედამ, — იმ დიდის მცირე ნაწილია, საქართველო რომ ჰქვია... მშობლის ნათქვამის ისწორეში აქ ჩამოსვლით დავრწმუნდი. საქართველოს სადარი ქვეყანა არსად მინახავს, აშენებულსა და დამშვენებულს პატრონიც ღირსეული ჰყავს — ქართველ კაცს შრომასა და სტუმართმოყვარეობაში, აბა, ვინ შეედრება...

გამომშვიდობებისას საქართველოში კვლავაც მალე სტუმრობა ვუსურვე. — აუცილებლად ჩამოვალო, — მითხრა და ერთი პატარა საიდუმლოც გამანდო: პირველ ოქტომბერს ვქორწინდები და სამშობლოს მეორედ მეუღლესთან ერთად მინდა ვესტუმროო.

ბედნიერ ქორწილს გისურვებთ, ზურაბ! კარგი ქართველები გაგეზარდოთ შენა და შენს მეუღლეს, დე მათთვის თქვენსავით ახლობელი ყოფილიყოს დედასამშობლო საქართველო.

რევაზ მაჭავარიანი

ქართველები „ფარახზე“

თეირანში, „ფარახის“ სტადიონზე, გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობაში. პირველად თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა მოსინჯეს ძალა, შემდეგ „კლასიკოსებმა“ და სამბისტებმა. სამბოში წლეულს პირველად გაიმართა მსოფლიო პირველობა, რომელშიც ბევრმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა.

„კლასიკოსებში“ კარგად გამოდიოდა ჩვენი ფალავანი მიმე წონაში შოთა მორჩილაძე. მან ერთადერთი შეხვედრა წააგო მსოფლიოს ჩემპიონ ბულგარელ ტიმონოვთან და მესამე საპრიზო ადგილზე დარჩა.

სამბოში ჭიდაობდნენ თბილისელი ფალავნები გენადი გიორგაძე და ლევან თედიაშვილი. გენადი სამბისტთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ჩემპიონია. მისი გვარი ოქროს ასოებით ჩაიწერა სამბოს ისტორიაში. გიორგაძემ კარგად წარმართა შეხვედრები 48 კილოგრამ წონითს კატეგორიაში და ჩემპიონატის დამთავრებამდე ოქროს დიდი მედალი დაიმსახურა.

მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ასპარეზობის დროს სამბისტებში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონი, მიუნხენის ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი, თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ლევან თედიაშვილი.

როგორც უცხოელ, ისე ქართველ ფალავანთა ცხოვრებაში ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა სტილით ჭიდაობდნენ. ლევანდარული არსენ მეკოკიშვილი წარმატებით ასპარეზობდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირებშიც, კლასიკურ ჭიდაობაშიც, სამბოშიც. თავისუფალი სტილით უჭიდავია სახელმოხვეჭილ „კლასიკოსს“ გივი კარტოზიას. ჭიდაობის ორ, ზოგჯერ სამ სახეობაშიც მონაწილეობდნენ დავით ციმაკურიძე, ვახტანგ ლურიძე, შალვა ნოზაძე და სხვები. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მაშინ მკვეთრი სპეციალიზაცია არ არსებობდა და სახეობებიც შინაგანად ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. დღეს კი თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ისევე როგორც სამბო და ძიუ-დო, იმდენად გაემიჯნენ ერთმანეთს, რომ ყოფილ სამბისტებს ძიუდოისტთა ტურნირებში მონაწილეობის უფლებასაც კი არ აძლევენ და, პირუკუ. ამიტომ ის, რაც თეირანში მოხდა, საგანგებო შემთხვევაა ჭიდაობის ისტორიაში.

საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ისიც იყო დიდი გამარჯვება იზეიმა, გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ზედიზედ ავიდნენ სამბოთა ფალავნები. „ფარახზე“ ოქრომ „იწვიმა“, იგი ჩვენი გოლიათების ნადავლი გახდა. როგორც მოსალოდნელი იყო, 90 კილოგრამ წონითს კატეგორიაში ყველანი დაჯაბნა ლევან თედიაშვილმა. იგი მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და ისევ ნებდა, მაგრამ ნაადრევად... წინ თურმე კიდევ ელოდა ბრძოლები. სამ-



გენადი გიორგაძე

ჭოთა „სამბისტებს“ ავად გაუხდათ მოჭიდავე. მწვრთნელებს გაახსენდათ, რომ ლევან თედიაშვილი ოღესღაც სამბოს ჭიდაობდა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც იყო იუნიორთა შორის. მათ ლევანს დახმარება სთხოვეს. ლევანმაც ხელი გამოიღო, ზედიზედ მიაწვინა ოქროს მაძიებელი სამბისტები და აქაც გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდა. ამგვარად, ჩვენმა ფალავანმა ჭიდაობის ისტორიაში თავისებური უნიკალური რეკორდი დაამყარა — ერთ კომპლექსურ ჩემპიონატში ოქროს ორი მედალი მოიპოვა. ნიჭიერი ქართველი ფალავანი ეხლა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში, ოლიმპიური ჩემპიონი ამავე სახეობაში და კიდევ მსოფლიო ჩემპიონი სამბოში.

ლაშა გარეჯელი

მწვერვალს „გალაკტიონი“ ჰქვია

16 სექტემბერს ქართველ ალპინისტთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი შალვა მარგიანი (მოიერიშე ჯგუფის უფროსი), მწვრალი გურამ ფანჯიკიძე, სსრ კავშირის ჩემპიონები გიორგი ახვლედიანი და გაიოზ ჩუბინიძე, ბარდღა ონიანი, ზურაბ ჯინჭარაძე, გოგი კაკრიაშვილი და ავთანდილ გურასაშვილი, ცენტრალურ კავკასიონზე, ზესხოს ხეობაში დაიპყრო 4.200 მეტრი სიმაღლის რთული მწვერვალი, რომელსაც დაარქვეს **„გალაკტიონი“**.

მწვერვალის შტურმი რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა და გაგრძელდა 14 საათს. ლამაზი მწვერვალი „გალაკტიონი“ მდებარეობს ცნობილი მწვერვალების „ცურუნგალას“ და „აილამას“ გვერდით.

სასპორტო ქრონიკა

პირველად!

დიტო შანიძეს მრავალჯერ მოუპოვებია საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონის ტიტული, დაუმყარებია მსოფლიო რეკორდი, მაგრამ მსოფლიო პირველობებსა და ოლიმპიურ ასპარეზობებზე იგი ყოველთვის ვერცხლის ჯილდოებს სჯერდებოდა. და აი, ჰავანაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე 36 წლის ქართველმა ვეტერანმა კიდევ ერთხელ სცადა ძალა, კიდევ ერთხელ შეეჭიდა მეტოქეებს უმაღლესი ტიტულის მოსაპოვებლად. როგორც სასპორტო მიმომხილველები აღნიშნავენ, დიტო ჰავანაში შეშმარიტი ახალგაზრდული ენერგიითა და გატაცებით ასპარეზობდა. მან ორჭიდში 272,5 კილოგრამი დააგროვა და მსოფლიოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა. მათ შორის, ვინც დიტომ დაამარცხა, მიუნხენის ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი, ბულგარელი **ნორაილ ნურიკიანიც** გახლდათ.

თასი — პაატა შამუგიას

თბილისის სპორტის სასახლე რამდენიმე დღის განმავლობაში ტანვარჯიშის მოყვარულებით იყო სავსე. საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად ჩვენს დედაქალაქში მსოფლიო სახელის მქონე სპორტსმენები ჩამოვიდნენ... ქალთა შორის უძლიერესის სახელი თასის სამგზის მფლობელმა, ოლიმპიურ ასპარეზობათა აბსოლუტურმა ჩემპიონმა **ლუდმილა ტურიშჩევამ** მოიპოვა, მეორე იყო საქართველოს წარმომადგენელი **რუსუდან სიხარულიძე.**

რაც შეეხება ვაჟთა ასპარეზობას, აქ თავი ისახელა 21 წლის თბილისელმა ტანმოვარჯიშემ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტმა **პაატა შამუგიამ.**

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ცალკეულ იარაღებზეც კარგად გამოვიდნენ: **რუსუდან სიხარულიძემ** საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა თავისუფალ ვარჯიშში, **ნინა დრონოვამ** კი — ვერცხლის მედალი დვირზე ვარჯიშში, იგი თავისუფალ ვარჯიშში მესამე იყო. **პაატა შამუგია** ოთხჯერ გამოვიდა საასპარეზოდ და უმეტდლოდ არც ერთხელ არ დარჩენილა. იგი პირველი იყო ბჯენით ხტომებსა და ღერძზე ვარჯიშში, ორძელზე ვერცხლის მედალი ხვდა, ხოლო თავისუფალ ვარჯიშში მესამე ადგილი მოიპოვა.

„დინამოს“ ოთხი ბურთი

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები უეფა-ს თასის გათამაშების პირველ ეტაპზე სოფიის „სლავიას“ შეხვდნენ. მატჩი, რომელიც თბილისში გაიმართა, საინტერესო გამოდგა. „დინამომ“ მეტოქის კარში ოთხი ბურთი გაიტანა, საკუთარში კი მხოლოდ ერთი მიიღო. საპასუხო შეხვედრა სოფიაში გაიმართება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის პირველობაზეც უკანასკნელ ორ მატჩში თბილისელებმა ოთხ-ოთხი ბურთი გაიტანეს, განსაკუთრებით ქების ღირსია გივი ნოდია, რომელმაც მინსკის „დინამოსთან“ შეხვედრაში ოთხჯერ აიღო მეტოქის კარი.

კვლავ უძლიერესი

ერევანში გაშართულ საბჭოთა კავშირის პირველობაზე ჩოგბურთში კვლავ უძლიერესი იყო საქართველოს წარმომადგენელი **ალექსანდრე მეტრეველი.** მან ფინალში დაამარცხა **თეიმურაზ კაკულია.**

მსოფლიო რეკორდი

მრგვალ სტენდზე სროლაში, რომელიც რომში მოეწყო, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონის სახელიც მოიპოვა და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა (589 ქულა 600 შესაძლებლიდან). სხვებთან ერთად ჩვენი ქვეყნის ღირსების საქართველოს წარმომადგენელი **ტარიელ ყლენტიც** იცავდა.

გაიხსნა თეატრალური სეზონი

თეატრალური სეზონი უკვე გაიხსნა. 15 სექტემბერს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა სეზონი პრემიერით დაიწყო: წარმოადგინეს ალექსანდრე ოსტროვსკის კომედია „ტალანტები და თაყვანისმცემლები“.

სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ, მხატვრულად გააფორმა მ. მალაშონიამ. სპექტაკლისათვის მუსიკა შექმნეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ო. თაქთაქიშვილმა და შ. შილაკაძემ, ქორეოგრაფია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ზარეცკი.

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები: მ. თბილელი, კ. მაზარაძე, ი. ტრიპოლსკი; რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ს. ჭიაურელი, დ. ჭიჭინაძე, ზ. ლაფერაძე, ვ. ცხვარიაშვილი, თ. არჩვაძე, მ. ბებურიშვილი, გ. ციცქიშვილი, დ. ოქროსცვარიძე; მსახიობები გ. თოდაძე, ნ. გოდერძიშვილი, ლ. მაჭავარიანი, მ. მშვენიერიძე.

ამ სპექტაკლით თეატრის 46-ე სეზონი დაიწყო, რითაც თეატრი დიდი რუსი დრამატურგის ალექსანდრე ოსტროვსკის დაბადების 150 წლისთავს გამოეხმაურა. 22 სექტემბერს კი რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში აისადა ფარდა. მაყურებელს პრემიერად უჩვენეს შექსპირის „იულიუს კეისარი“.

წლევანდელ თეატრალურ სეზონზე, თავიანთ შემოქმედებით გეგმებზე ჩვენს მკითხველებს ესაუბრებიან:

აკაკი ბაძრაძე — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი:

1973-74 წლების სეზონს იწყებს ჩვენი თეატრი ორი პრემიერით — შექსპირის „იულიუს კეისარი“ და ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“. პირველი სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მიხეილ თუმანიშვილმა, მეორე — რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ.

ამ წარმოდგენებს რიგრიგობით მოჰყვება სპექტაკლები: რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“ (რეჟისორი გ. ქავთარაძე), პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ (რეჟისორი რ. სტურუა) და ალ. ტოლსტოის „ივანე მრისხანეს სიკვდილი“ (რეჟისორი ლ. მირცხულავა).

რუსთაველის თეატრის ძველი სპექტაკლებიდან რეპერტუარში დარჩება — „ხანუმა“, „გუშინდელნი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „საბრალდებო დასკვნა“, „ჯიდი“, „ფედრა“, „უცხო კაცი“, „ანტიგონე“ და სხვები.

შემოქმედებითი საიუბილეო გამჭვლავნება არ ეგების და აქ შეიძლებოდა შემდგომი გეგმების უფრო ფართო ვაცნობისაგან თავი შეგვეკავებინა, მაგრამ დიდია სურვილიც, „სამშობლოს“ მკითხველებმა, რომელთა შორის აქაურიც ბევრია, იცოდნენ, რაზე მუშაობს საერთოდ რუსთაველის თეატრი. ამიტომ გაცნობებთ, რომ ამჟამად თეატრის რეპერტუარში დამტკიცებულია გ. ნახუცრიშვილის — „კალმასობა“ (იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიური თხზულების მოტივების მიხედვით დაწერილი), ო. ჭილაძის — „წათეს წითელი წაღები“, რ. გაბრიაძის — „სამოთხის ჩიტი“, დ. კლდიაშვილის — „ქამუშაძის გაჭირვება“ (ინსცენირების ავტორი გ. სანადირაძე), ნ. წულეისკირის — „ბატონი სოლომონ ისაკიჩი“.

გარდა ამისა, რუსთაველის თეატრისათვის პიესებს წერენ ვ. კანდელაკი, თ. ჭილაძე, ალ. ჩხაიძე, ვ. სიხარულიძე და სხვანი. ცხადია, არას მოგახსენებთ კლასიკურ რეპერტუარზე. აქ თეატრის არჩევანი თავისუფალია.

რა თქმა უნდა, ყველა ზემოხსენებულის დადგმა 1973-74 წლის სეზონში ვერ მოხერხდება. ზოგიერთი მათგანი 1974-75 წლის სეზონში გადაინაცვლებს.

საუბრის დასასრულ მინდა ერთი სასიამოვნო ფაქტი გაცნობოთ. 1974 წლის 5 ივნისს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საარბრიუკენში, თეატრი მაყურებელს უჩვენებს „სამანიშვილის დედინაცვალს“. მანამდე კი იქაური თეატრის დასი წარუდგენს ამავე სპექტაკლს თავის მაყურებელს (სპექტაკლის მოსამზადებლად საარბრიუკენში ჩავლენ რეჟისორები თემურ ჩხეიძე და რობერტ სტურუა).

ვფიქრობთ, რომ ახალი თეატრალური სეზონი საინტერესო იქნება როგორც მაყურებლისათვის, ისე ჩვენთვისაც.

ანზორ ქუთათელაძე — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი:

— თავდაპირველად შარშანდელ სეზონზე: თეატრის კოლექტივმა თავისი თეატრალური სეზონი განაგრძო ბათუმში ერთთვიანი გასტროლებით. ბათუმელ მაყურებელს ვუჩვენეთ სამი წარმოდგენა: კ. გუცკოვის — „ურიელ აკოსტა“, „ძველი ვოდევილები“ და ნ. გოგოლის — „ქორწინება“. ბათუმის გარდა, წარმოდგენები გვქონდა ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში. აქვე შევხვდით ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს.

ზაფხულში ვიყავით მესხეთშიც, სადაც მაყურებელს წარმოვუდგინეთ ა. ჩხაიძის „დღის წესრიგშია ერთი საკითხი“. დასის ნაწილი ზაფხულის ბოლოს სპექტაკლებს მართავდა კახეთის რაიონებში.

გვქონდა შეხვედრები მეტრომშენებლებთან, დავთვალიერეთ მეტროს მშენებლობა, ხოლო შემდეგ ვუჩვენეთ გ. ხუხაშვილის „მოსამართლე“.

წლეულს სეზონი გავხსენით პრემიერით, ა. ოსტროვსკის კომედიით „ტალანტები და თაყვანისმცემლები“.

წლეულსვე დავდგამთ კ. ბუაჩიძის სატირულ კომედიას „პლატონს“. რეჟისორი ნ. გაჩავა მუშაობს გ. ფანჯიკიძის რომანის „თვალი პატიოსანის“ ინსცენირების დადგმაზე; ი. გედევანიშვილის პიესა-ზღაპარს „სინათლეს“ დადგამს ვასო გოძიაშვილი. წარმოდგენა ერთნაირად საინტერესო იქნება როგორც ბავშვებისთვის, ისე დიდებისთვის.

თეატრი კვლავ განაგრძობს დრამატურგებთან ურთიერთთანამშრომლობას. რეჟისორი დ. ალექსიძე, გ. ხუხაშვილთან ერთად, მუშაობს მუშათა კლასის ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებზე. პიესის პირობითი სახელწოდებაა „დედა, მამა და შვილები“.

დ. ალექსიძე დადგამს აგრეთვე არისტოფანეს უკვდავ კომედიას „ფრინველებს“, მ. გორკის „მოაგარაკენს“ სცენურ სიცოცხლეს მიანიჭებს რეჟისორი მ. კუშუხიძე.

რაც შეეხება საორიენტაციო რეპერტუარს, გათვალისწინებული მაქვს დავდგა მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“. ინსცენირება ეკუთვნის ჯ. მახარაძეს, დ. ალექსიძე იმუშავებს „კლდიაშვილის თეატრზე“. ვერიკო ანჯაფარიძის მონაწილეობით დავდგამთ იბსენის „მოჩვენებებს“.

წლევანდელ სეზონში თეატრს შეემატა რეჟისორი ლ. პაქსაშვილი, რომელიც უკვე მუშაობს ჰ. ამირეჯიბთან ერთად მისივე ნაწარმოების „დათა თუთაშხიას“ ინსცენირებაზე.

შარშანდელი სეზონის წარმოდგენებიდან აღვადგინეთ „ძველ ვოდევილებს“, რომელიც უკვე მეოთხე წელიწადია მაყურებლის შეუნელებელ ინტერესს ინარჩუნებს, ალ. კორნეიჩუკის — „ხსოვნა გულისას“, კ. გუცკოვის — „ურიელ აკოსტას“, გ. ხუხაშვილის — „მოსამართლეს“, ალ. ჩხაიძის პიესას „დღის წესრიგშია ერთი საკითხი“, ნ. გოგოლის — „ქორწინებას“, შილერის — „დონ კარლოსს“, ნ. ლორთქიფანიძის — „ჟამთა სიავეს“, ი. ვაკელის — „აპრაკუნე ჭიმჭიმელს“.

გამოიწერეთ გაზეთი „სამშობლო“!

ავსტრალია

New World Booksellers,
425, Pitt Street,
Sydney, N. S. W.

Spring Bookshop,
7 Collins Street,
Melbourne, Victoria

Peoples Bookshop,
205 Brunswick Street, Valley,
Brisbane, Queensland

ავსტრია

15 – 10
Globus, Vaz
Hoechstaedtpl. 3
A-1200 Wien, Osterreich

ალჟირი

SNED 3, Bd. Zirout Youcef
Alger

აშშ

Stechert-Hafner, Inc.,
31 East 10th Street,
New York 3, N. Y.

Schoenhof's Slavic Books, Inc.,
1280 Massachusetts Avenue,
Cambridge 38, Mass.

ახალი ზელანდია

Progressive Books,
14 – 16 Darby Str.,
Auckland C. I.

ბელგია

Librairie
Du Monde Entier
Place St. Jean, 5
Bruxelles

ბრაზილია

Livraria «Intunliv»
Rua Senador Dantas 117,
Sobre Loja 206,
Rio de Janeiro

Livraria «Stjepan Rozov»
Rua 24 de Maio, 35,
Sala 1213
São Paulo

დასავლეთ ბერლინი

Kawe
Kommissionsbuchhandlung
I. Berlin 12 (Charlottenburg)
Hardenbergplatz 13

დასავლეთ გერმანია

Brücken-Verlag GmbH
Ackerstraße 3 (Worringerplatz)
4 Düsseldorf I

W. E. Saarbach GmbH
Ausland-Zeitungshandel
5 Köln I
Postfach 1510

Presse-Vertriebs-Gesellschaft mbH
Börsenstraße 13 – 15
6 Frankfurt am Main

ეგვიპტე

Modern Age Establishment
Dar-El-Shark Bookshop,
8, Talaat Harb Str.,
Cairo

ინგლისი

Central Books Ltd.,
37 Grays Inn Road,
London W. C. I

Collet's Holdings Ltd.,
Denington Estate,
Wellingborough, Northants

ინდოეთი

People's Publishing
House (Private) Ltd.,
Rani Jhansi Rd.,
New Delhi-1

ზოგიერთი მისამართი, სადაც **ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ** **ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲝᲗ** **ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ**

ირანი

Bookstore Sako Hovsepian 48,
Avenue Marshal Stalin,
Teheran

«Gutemberg»
Khiabane Manuchehri,
Teheran

იტალია

Associazione
Italia – URSS
Via Edilio Raggio, 1 – 6
16124 Genova

Associazione
Italia – URSS
Sezione di Milano
Via Dogana, 4
Milano

So. Co. Lib. Rl.
Piazza Margana, 33
00186 Roma

კანადა

Periodica, Inc.,
7045 Avenue du Parc
Montreal 15, Que.

კუბა

Distribuidora Nacional
de Publicaciones
Neptuno, 674, Apartado
1356
Habana, Cuba

ნორვეგია

Tanum-Cammermeyer
(Subscription-Centre)
Karl Johansgt. 43
Oslo I

პაკისტანი

Standard Publishers, Ltd.,
3/10, Liaquat Avenue,
Dacca-1

საბერძნეთი

«Themelio»
57 Akademias,
T. T. 143,
Athens

საფრანგეთი

Librairie du Globe
2, rue de Buci
75 – Paris 6e

Les Livres Etrangers
10, Rue Armand Moisant
75 – Paris 15e

სირია

Alep
General Press Company
Nizam Bros Kayyali
29 Ayyak Street
P. O. Box 2366
Damas

ურუგვაი

«Anteo Ltda»
18 de Julio 1333
Montevideo

შვეიცარია

Genossenschaft
Literaturvertrieb
46, Feldstraße
8004 Zürich

Naville et Cie
5 – 7, rue Lèvrier
Genève

ჩილე

Empresa Editoria «Austral» Ltda.
Casilla 13201, San Francisco 36
Santiago de Chile

ჰოლანდია

«Pegasus» Boekhandel,
Leidsestraat 25
Amsterdam

ᲪᲮᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1974 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲖᲔ!“

ABONNEZ VOUS AU JOURNAL «SAMCHOBLO» POUR 1974!

ABONNIERT DIE ZEITUNG «SAMSCHOBLO» FÜR DAS JAHR 1974!

SUBSCRIBE FOR THE NEWSPAPER «SAMSHOBLO» FOR 1974!

რედაქტორი ᲒᲘᲕᲘ ᲙᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 8, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ № 42. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: 93-68-44, 93-56-25.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 26, ᲐᲗᲝᲜᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 25.